

МАТЕРИАЛЫ К АНТРОПОЛОГИИ КАВКАЗА, VIII

МАЛХАЗ АБДУШЕЛИШВИЛИ

АНТРОПОЛОГИЯ КАВКАЗА
В БРОНЗОВОМ ПЕРИОДЕ

THE DATA ON THE ANTHROPOLOGY OF THE CAUCASUS, VIII!

MALKHAS ABDUSHELISHVILI.

THE ANTHROPOLOGY OF THE CAUCASUS
IN THE BRONZE AGE

«МЕЦНИЕРЕБА» — «METSNIEREBA»

ТБИЛИСИ — TBILISI

1982

მასაღები კავკასიის ანთროპოლოგიისათვის. V III

მალსაზ აბდუშელიშვილი

**კავკასიის ანთროპოლოგია
ბრინჯაოს ხანაში**

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1982

ანთროპოლოგიური მასალების მნიშვნელობა ხალხების წარმომავლობის, ჩამოყალიბებისა და შემდგომი ისტორიის კვლევის საქმეში მით უფრო დიდია, რაც უფრო მეტად არის დაშორებული ჩვენგან საკვლევე პერიოდს. ამიტომაც არის, ალბათ, რომ საერთოდ ბრინჯაოს ხანის პალეოანთროპოლოგიური მასალა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების უთნოგენეზურ კვლევაში. კავკასიის, კერძოდ, საქართველოს პალეოანთროპოლოგიური კვლევა ბრინჯაოს ხანაში დღემდე არ ყოფილა ნონოგრაფიული კვლევის საგანი; ეს მით უფრო დასაინანია, რომ სწორედ კავკასიის ხალხებთან არის დაკავშირებული წინა და შუა აზიის, სამხრეთ ევროპისა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის მრავალი ხალხის გენეტიკური ურთიერთდამოკიდებულების საკითხები. ცალკეული გამოკვლევები, რომლებიც მიძღვნილია კავკასიის ამა თუ იმ რეგიონის პალეოანთროპოლოგიური გამოკვლევისადმი. მიხსლოებითაც ვერ ავსებენ იმ ხარეზს, რომელიც დღემდე რჩებოდა ბრინჯაოს ხანის კავკასიის ანთროპოლოგიაში მთლიანად.

წარმოდგენილ ნაშრომში თავმოყრილია მეცნიერულ მიმოქცევაში დღემდე არსებული ყველა პალეოანთროპოლოგიური მასალა. მათ დაემატა უკანასკნელი წლების განმავლობაში მოპოვებული საკმარის სოლიდური ახალი მონაცემები. მთელი ამ მასალის ახლებურა მეთოდებით გადამუშავებამ და სპეციალურმა ანალიზმა ბევრი რამ ახლებურად გამოაჩინა და, ცხადია, ახალი შუქი მოჰაფინა კავკასიის (და არამარტო კავკასიის) ხალხების ანთროპოლოგიურ ისტორიას.

სწორედ ამ ახალი მასალებისა და ახალი დებულებების პუბლიკაცია წარმოადგენს წინამდებარე მონოგრაფიის ძირითად მიზანს.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ბრინჯაოს ხანა საქართველოში საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. ის ისტორიულად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდთაგანია და ამიტომ არც გასაკვირია, რომ ანთროპოლოგიურადაც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ანთროპოლოგიურმა მონაცემებმა პირველად მიიქცია ყურადღება, ის რამდენიმე შეხედულება, რომელიც გამოითქვა ჩვენი ქვეყნის უძველესი მოსახლეობის ფიზიკური თავისებურებების შესახებ, ბრინჯაოს ხანის მასალებზე იყო დამყარებული (ვირხოვი, 1885—7). ნიშანდობლივია ისიც, რომ პირველი პალეოანთროპოლოგიური მონოგრაფია საქართველოში, აგრეთვე ბრინჯაოს ხანის მოსახლეობისადმი იყო მიძღვნილი (მ. აბდუშელიშვილი, 1954). ეს განსაკუთრებული ინტერესი მარტო იმით კი არ აიხსნება, რომ სხვაზე მეტი გვაქვს ამ პერიოდის პალეოანთროპოლოგიური მასალები, არამედ იმითაც, რომ სწორედ ამ დროისათვის უკვე ჩამოყალიბებული და გავრცელებული ჩანს ის ანთროპოლოგიური ტიპი, რომელიც მეტ-ნაკლებად შეეცვლილი სახით გვხვდება მომდევნო ხანაშიც; ეს კი, თავის მხრივ, იმის მაჩვენებელია, რომ დასრულდა (ყოველ შემთხვევაში გარკვეულ რეგიონზე) ამ ტიპის ფორმირების პერიოდი და ამ დროიდან საშუალება გვაქვს ვიმსჯელოთ ერთ გარკვეულ მორფოლოგიურ კომპლექსსა და მის ადგილობრივ ტრანსფორმაციებზე.

ადრეული გამოკვლევები, სამწუხაროდ, ცალკეული რეგიონებისადმი იყო მიძღვნილი (შანტრი—1886, ბუნაკი—1929, დებეცი—1948, გინზბურგი—1949, ბუნაკი—1953, აბდუშელიშვილი—1954, ტერ-მარტიროსიანი—1955, აბდუშელიშვილი—1960, კასიმოვა—1960, გაჩიევი—1962, აბდუშელიშვილი—1964, 1966, ბუბუშიანი—1972 და სხვ.), ხოლო მთლიანად კავკასიის მოსახლეობის ანთროპოლოგიური თავისებურებები ბრინჯაოს ხანაში დღემდე არავის უკვლევია. ამავ დროს, ბოლო ხანებში საკმაოდ სოლიდურმა ახალმა მასალამ იჩინა თავი, რაც ყოველ-

თვის იწვევს ისეთ მცირერიცხოვან მასალებზე დაყრდნობილ მოსაზრებების გადასინჯვის აუცილებლობას, როგორც მკვლევართა განკარგულებაში დღემდე არსებული ბრინჯაოს ხანის პალეოანთროპოლოგიური მასალები იყო. ამდენად, ჩვენი მიზანია ახალი მასალების მოშველიებით მთლიანობაში წარმოვადგინოთ კავკასიის მოსახლეობა ბრინჯაოს ხანაში, თუმცა წინასწარ ვიცით, რომ ეს სურათი ჭერჯერობით მაინც სქემატური კონტურის სახით ჩამოყალიბდება და მის საბოლოო დაზუსტებას ჭერ კიდევ უამრავი კვლევა-ძიება დასჭირდება მომავალში.

ისტორიული თვალსაზრისით, ამ პერიოდისადმი განსაკუთრებული ინტერესი სხვადასხვა უმნიშვნელოვანესი ფაქტორით არის განპირობებული. ჩვენი აზრით, მთავარი ის არის, რომ დაახლოებით ამ პერიოდში იწყება (ყოველ შემთხვევაში, ამ პერიოდში ეყრება საფუძველი) ქართველური წარმომავლობის ტომების ჩამოყალიბება და შემდგომი ფორმირება. უდიდესი არქეოლოგიური მასალა, რომელიც ამ პერიოდისათვის მოგვეპოვება, საქართველოს უძველესი ისტორიისათვის უაღრესად დიდი ინტერესის მქონე ინფორმაციის შემცველია: „საქართველო ბრინჯაოს კულტურის ერთ-ერთი კლასიკური ქვეყანაა. არქეოლოგიური აღმოჩენები ადასტურებენ, რომ ჩვენებური ბრინჯაოს კულტურა სპილენძის (ენეოლითური) ხანის კულტურის ნიადაგზეა აღმოცენებული და განვითარებული. ჩანს, ამის გამოც არის ასე მკაფიოდ ჩამოყალიბებული ადრებრინჯაოს, შუაბრინჯაოს და გვიანბრინჯაოს საფეხურები, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში“ (საქართველოს არქეოლოგია, 1959).

ამეამად, ჩვენ ანთროპოლოგიურადაცა გვაქვს საშუალება მეტ-ნაკლები სისრულით წარმოვადგინოთ საქართველოს ბრინჯაოს ხანის მოსახლეობა სამივე საფეხურზე და თვალის გავადევნოთ ფიზიკური ტიპის ცვალებადობას ამ საფეხურებზე. სამწუხაროდ, რაგვ არ ითქმის კავკასიის დანარჩენ ტერიტორიებზე და მით უმეტეს შესაძარბებელ მონაცემებზე სხვა მომიჯნავე ტერიტორიებიდან. ეს მომიჯნავე ტერიტორიები არქეოლოგიურად საკმაოდ კარგად არიან შესწავლილნი, მაგრამ შესაბამისი ანთროპოლოგიური მასალა პუბლიკაციებში ჭერჯერობით არ ჩანს.

კიდევ ერთ თვისებურებას გვინდა მივამკითხოთ ყურადღება: წარმოდგენილ ნაშრომში მკითხველს შეუძლია იპოვოს გარკვეული ქრონოლოგიური ჭვრუდის ცალკეული რეგიონის საშუალო მონაცემები. ეს მონაცემები საჭიროა იმ მსგავსება-განსხვავებათა შე-

ნიშვნისათვის, რომლებიც ცალკეულ ტერიტორიულ ჯგუფებს შორის არსებობენ. ყოველ ქრონოლოგიურ პერიოდს დართული აქვს საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ყველა თავის ქალას შემაჯამებელი და გასაშუალებელი მონაცემები. ისინი მთლიან წარმოდგენას იძლევიან საქართველოს მოსახლეობაზე ამა თუ იმ პერიოდში და, გარდა ამისა, ამ სიდიდეების შეფასების აუცილებელ პირობებსაც ქმნიან. სამწუხაროდ, ჩვენ მოკლებულნი ვართ შესადარებელი მასალების ასეთივე წესით წარმოდგენის საშუალებას, მაგრამ აქ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საშუალო პარამეტრების ცვალებადობათა განმსაზღვრელი მაჩვენებლების მოშველიება გვიქმნის რაიმე სერიოზული ცდომილების თავიდან აცილების საიმედო საფუძველს.

ბოლო ხანებში საქართველოს ტერიტორიაზე ინტენსიურად გაშლილმა არქეოლოგიურმა გათხრებმა საგრძნობლად გაამდიდრა ბრინჯაოს ხანის კრანიოლოგიური მასალების ფონდი. განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში (ხელმძღვანელი საქ. სსრ მეცნ. აკად წ/კ, პროფ. ა. აფაქიძე) ანთროპოლოგიური რაზმის მუშაობა, რომელმაც შეძლო არამარტო მცხეთის რეგიონებში მოპოვებული მასალების რესტავრაცია და შესწავლა, არამედ საქართველოს და კავკასიის მრავალ ტერიტორიაზე მოპოვებული პალეოანთროპოლოგიური მასალების აღდგენა და კრანიომეტრული გაზომვაც. თუ რამდენიმე ხნის წინათ საქართველოს ბრინჯაოს ხანის მოსახლეობაზე წარმოდგენას გვიქმნიდა შეიდიოდე ათეული თავის ქალა, დღეს ჩვენს განკარგულებაში ამ პერიოდის 184 თავის ქალით წარმოდგენილი სერიაა. რაც მთავარია, მთელი ეს მასალა ცალკეული პერიოდების მიხედვით თითქმის თანაბრად ნაწილდება, ასე რომ, ხშირად საშუალება გვეძლევა ჩვენი შეხედულება დავაყრდნოთ არა ინდივიდუალურ ზონაციუმებს, არამედ სტატისტიკურ პარამეტრებს. ცხადია, ჩვენს განკარგულებაში არსებული მასალა, საერთოდ, სრულებითაც არ არის საკმარისი, მაგრამ რაოდენობრივი სიმცირე პალეოანთროპოლოგიური მასალების საერთო თავისებურებაა, ხოლო სადღეისოდ ჩვენს განკარგულებაში არსებული მასალები, რაოდენობრივი თვალსაზრისით ტოლს არ უდებენ საქართველოს მიმდებარე ნებისმიერი რეგიონიდან მოპოვებულ მასალებს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს განკარგულებაში აღმოჩნდა გვიანბრინჯაოს ხანისა და ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი პერიოდების კრანიოლოგიური მასალები სომხეთის ტერიტორიიდან (თავის ქალები

კრანოლოგიურად შესწავლა ჩვენმა თანამშრომელმა დ. ჭავჭავაძემ (შვილმა). მათ შესახებ სათანადო ადგილას გვექნება საუბარი, აქ კი იმის აღნიშვნა გვსურს მხოლოდ, რომ უნიფიცირებული მეთოდით შესწავლილი სხვადასხვა სერიების მეცნიერული ღირებულება გაცილებით მეტია, ვიდრე სხვადასხვა ავტორთა მიერ შესწავლილი შესადარებელი მონაცემები.

ყოველივე ზემოაღნიშნული ჩვენს განკარგულებაში არსებულ მასალებს შეეხება. ამ მასალების გარდა, ნაშრომში ფართოდ არის გამოყენებული სხვა ავტორთა მონაცემები კავკასიის, წინა, შუა და ჩრდილო-დასავლეთ აზიის, ხმელთაშუაზღვისპირეთის და აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის რეგიონებიდან. ეს მონაცემები საშუალებას იძლევიან გავარკვეოთ ჩვენს მიერ კავკასიის ტერიტორიაზე დადგენილი ანთროპოლოგიური ტიპების ადგილი ზოგად რასობრივ სისტემატიკაში.

საბოლოოდ, ორიოდ სიტყვა გამოკვლევის სტრუქტურის შესახებ. ვინაიდან მის ძირითად მიზანს ახალი მასალების პუბლიკაცია და მათი მეცნიერულ მიმოქცევაში შეტანა წარმოადგენს, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება, ცხადია, ციფრობრივ მონაცემებს დაეთმო. ისინი წიგნს ბოლოში აქვს დართული ნიშნების ლათინური ტრანსკრიპციით, რაც ჩვენი აზრით, დიდად შეუწყობს ხელს მათ მეცნიერულ მიმოქცევაში შეტანას ნებისმიერ ქვეყანაში. ტავტოლოგიის თავიდან აცილების მიზნით აღვნიშნავთ იმავე, რომ მთელი მასალა დამუშავებულია და ანალიზირებული ჩვენს მიერ მოწოდებული მეთოდით (მ. აბდუშელიშვილი, კრანოლოგია — 1976) ელექტრო-გამომთვლელ მანქანაზე.

საქართველოს მოსახლეობა ბრინჯაოს ხანაში

მონაცემები საქართველოს ანთროპოლოგიისათვის
ენეოლითურ ხანაში

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ბრინჯაოს კულტურა ჩვენში წინამორბედი ენეოლითური კულტურის ნიადაგზეა აღმოცენებული, ამიტომ ბრინჯაოს ხანის ანთროპოლოგიური მასალების კვლევისას ბუნებრივია, ინტერესი წინამორბედი ხანის ანთროპოლოგიური თავისებურებების მიმართ. წარმოდგენილი გამოკვლევა ბრინჯაოს ხანის მოსახლეობის შესწავლას ეძღვნება, მაგრამ ჩვენ ვერ ავუარეთ გვერდი ენეოლითურ ხანას, თუმცა საამისო მასალები ჯერ-ჯერობით თითქმის არ მოგვეპოვება.

ენეოლითური ხანა საქართველოში მოიცავს პერიოდს ძვ. წ. აღ. V-დან III ათასწლეულამდე. ამ პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები დიდი რაოდენობით არის შესწავლილი საქართველოს ტერიტორიაზე. ერთდერთი თავის ქალა, რომელიც არქეოლოგო. ჯაფარიძის მიერ არის მოპოვებული 1954 წელს აღმოსავლეთ საქართველოში (პუნქტი კულახონი), დათარიღებულია გვიანენეოლითურ და ადრებრინჯაოს ხანით. დღესდღეობით მხოლოდ ეს ერთი თავის ქალა გვაძლევს საშუალებას მიახლოებითი წარმოდგენა შევიქმნათ საქართველოს ენეოლითური ხანის მოსახლეობაზე. თავის ქალა შესწავლილია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ანთროპოლოგ დ. ჯავახიშვილის მიერ და მონაცემებიც მის მიერვეა გამოქვეყნებული 1968 წელს (დ. ჯავახიშვილი, 1968). თავის ქალა, როგორც ჩანს, ეკუთვნოდა მამაკაცს. ანთროპომეტრული მონაცემები ადასტურებენ, რომ მისთვის დამახასიათებელი იყო: საშუალოზე დიდი გრძივი და საშუალოზე მცირე განივი დიამეტრები, რის გამო ქალას მაჩვენებელი ძალზე დაბალია. ძალზე მცირეა ყურთაშუა სივანე. საშუალოზე დაბალია ქალას სიმაღლე, საშუალო ზომისაა პორიზონტული გარშემოწერილობა და განივი რკალი, ხოლო გასწვრივი რკალი საშუალოზე მეტია. შუბლი საშუალოზე ფართოა და საშუალოზე მოკლე, ვერტიკალურ სიბრ-

ტყეში სწორი, კეფის ძვალი კი, პირიქით, საშუალოზე ვიწროა და საშუალოზე გრძელი; კეფის ზედა ნაწილი ვერტიკალურია, თხემის ძვალი საშუალოზე გრძელია; ყვრიმალთაშუა დიამეტრის გაზომვა ვერ მოხერხდა, ხოლო ზედა სიგანის მიხედვით, სახე საშუალო ზომისაა. ასევე საშუალო ზომისაა სახის სიმაღლე; პორიზონტულ სიბრტყეში სახე ზომიერად არის პროფილირებული, ხოლო ვერტიკალურ სიბრტყეში ზომიერად დაქანებული; ცხვირი საშუალო სიგანისა და სიმაღლის, ხასიათდება ზომიერი სიმაღლის უნაგირით; თვალბუდეები საშუალოზე ვიწროა და საშუალოზე მაღალი. (იხ. ცხრ. 1/1,1)

ცხადია, ამ ერთი თავის ქალას მიხედვით ძნელია რაიმე გარკვეული განზოგადების წარმოდგენა, მითუმეტეს, რომ იგი არ ხასიათდება ნიშნების თავისებური კომპლექსით. მასზე არ შეინიშნება კავკასიის ადრეული პერიოდისათვის დამახასიათებელი მკვეთრად პროფილირებული სახე, ცხვირის მაღალი უნაგირი და სხვ. ერთადერთი, რაც მისთვის ამ პერიოდის სხვა თავის ქალებთან დამახასიათებელი ჩანს, ეს არის ქალასარქველის მკვეთრად დოლქოკრანული ფორმა. ამიტომაც არის, რომ სივრცეში მისი ანალოგიური ფორმების ძიებისას საკმაოდ მოზაიკურ სურათს ვხედავთ. ერთი მხრივ, უახლოესი ფორმები შეინიშნება ხმელთაშუა ზღვისპირეთის სინქრონულ სერიებში: ეგვიპტეში (ფოუსეტი — 1902, მორანტი — 1935), ესპანეთსა (რიკიტი — 1960) და ჩრდილო აფრიკის (სეინდლერი — 1956) რეგიონებში, ხოლო, მეორე მხრივ, აღმოსავლეთ ევროპის (უკრაინა (კონდუქტოროვა — 1956), რუმინეთი (ჰაასი და მაქსიმელიანი — 1958, ნეკრასოვა — 1964) და სხვ.) და აზიის (ალტაის (დებეცი 1948), თურქმენეთის (გინზბურგი და ტროფიმოვა — 1959) და სხვ.) სერიებში. მსგავსების ეს ფართო წრე მხოლოდ იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ კულანომში მოპოვებული თავის ქალა ხმელთაშუა ზღვისპირული ტიპების ვარიაციის ფარგლებს არ შორდება, ხოლო საგრძნობი განსხვავება სხვა კავკასიურ სერიებთან (ჭარათის (ტერ-მარტიროსიანი — 1955) კრანიოლოგიური სერია სომხეთიდან, ჯემიკენტის (ალექსეევი — 1974) კრანიოლოგიური სერია დაღესტნიდან და სხვ.) იმის მაჩვენებელია, რომ კულანომის თავის ქალაზე არა გვაქვს ხმელთაშუაზღვისპირული რასის კავკასიური ნაირსახეობისათვის დამახასიათებელი გარკვეული კომპლექსი. სამწუხაროდ, ღია რჩება საკითხი იმის შესახებ, თუ რისი მაჩვენებელი უნდა იყოს ამ თავისებური კომპლექსის არარსებობა: კულანომში მოპოვებული ერთადერთი თავის ქალას ინდივიდუალური თავისებუ-

რებისა თუ იმისი, რომ ამ დროისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული კავკასიელი მედიტერანებისათვის დამახასიათებელი თავისებურებების მთელი კომპლექსი.

ამრიგად, საბუთიერად დასტურდება მხოლოდ ის, რომ ენეოლითურ ხანაში საქართველოს მოსახლეობისათვის დამახასიათებელი იყო ხმელთაშუა ზღვისპირული რასის ზოგადი თავისებურებები, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული ამ რასის კავკასიური ნაირსახეობისათვის დამახასიათებელი ანთროპოლოგიური თავისებურებების გარკვეული კომპლექსი.

მონაცემები საქართველოს ანთროპოლოგიისათვის აღმებრინჯაოს ხანაში

საქართველოს ტერიტორიაზე აღრეულ ბრინჯაოს ხანაში შეინიშნება მიწათმოქმედებისა და, განსაკუთრებით, მესაქონლეობის დაწინაურება. ლითონის ნივთები, ამ დროისათვის, ჯერჯერობით ძირითადად სპილენძისაა, მაგრამ წინამორბედ პერიოდთან განსხვავებით მათი დამზადების ტექნოლოგიაა შეცვლილი. შემოდის ბრინჯაოს გაღობის წესი. რადგანაც სპილენძის ღლობას თავისი დიდი ნაკლი გააჩნია, მას თანდათანობით ბრინჯაო ენაცვლება. ამ პერიოდის მასალები ჯერჯერობით მხოლოდ სამარხების გათხრების შედეგად არის მოპოვებული. ანთროპოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ უკვე ენეოლითიდან შეინიშნება წინა აზიასთან კულტურული კავშირი. ბრინჯაოს ხანაში კი ეს კავშირი უფრო ინტენსიური ჩანს. ენეოლითთან შედარებით განსხვავებულია დამარხვის წესიც. აღრებრინჯაოს ხანაში მიცვალებულებს სპეციალურ ყორღანულ სამარხში ასაფლავებდნენ, რომლის აგებასაც მრავალი ადამიანის, საფიქრებელია, მთელი გვარის შრომა სჭირდება. ამ დროისათვის შეინიშნება, აგრეთვე, დაწვის (კრემაციის) წესიც. აღრებრინჯაოს ხანის ნივთიერი კულტურის შესწავლამ არქეოლოგებს საშუალება მისცა წარმოდგენა შეექმნათ იმდროინდელ სოციალურ წყობაზეც. როგორც ჩანს, იმ დროისათვის ხდება პატრიარქალური გვარის საბოლოო განმტკიცება, რაც პირობადებულ იყო მიწათმოქმედებაში სახვნელი იარაღების შემოღებით, მესაქონლეობის მძლავრი განვითარებითა და მეტალურგიის დაწინაურებით. ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ შეინიშნება ქონებრივი უთანასწორობა. თვით გვა-

რის დაწინაურებულ წევრთა სამარხეული ინვენტარი თითქმის არ განსჯავდება გვარის რიგითი წევრების სამარხეული ინვენტარი-საგან. მაგრამ უკვე ის ფაქტი, რომ გვარის მხოლოდ ზოგიერთ წევრს ასაფლავებდნენ ყორღანული ტიპის რთულ სამარხებში, მაჩვენებელია იმისა, რომ ამ დროისათვის უკვე იწყებს გამოყოფას საგვარეულო არისტოკრატია (საქართველოს არქეოლოგია, 1959).

როგორც უკვე ითქვა, ამ პერიოდის ნივთიერი კულტურა ძირითადად სამარხებიდან მომდინარეობს, სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არსებული პალეოანთროპოლოგიური მასალები დაახლოებითაც კი არ ასახავენ არქეოლოგიური მონაბოვრების გავრცელების სურათს. ამ დროისათვის ჩვენ განკარგულებაში არის სულ რამდენიმე მცირერიცხოვანი სერია: პირველ რიგში ეს არის კრანიოლოგიური სერია ტყვიავის ყორღანიდან, რომელიც ს. მაკალათიამ შეისწავლა არქეოლოგიურად 1943 წელს (ს. მაკალათია, 1943). ჩვენს მიერ შესწავლილია 7 მამაკაცისა და 5 ქალის საკმაოდ ფრაგმენტული თავის ქალა. სამწუხაროდ, მარტო ფრაგმენტულობა არ არის ამ სერიის ერთადერთი ნაკლი. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა ამ სერიაში სხვა პერიოდის თავის ქალების შერევისა, ჯერ გათხრებისას, ხოლო შემდეგ თვით ქ. გორის მუზეუმში, სადაც ისინი დღემდე არიან დაცულნი. ამის შესახებ ადრეც გამოგვითქვამს ჩვენი აზრი (აბღუშელიძე, 1966); ამჟამად კი, კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი, რომ თვით სერიას და მის განზოგადებას დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს ანთროპოლოგი, ყოველ შემთხვევაში იმ დრომდე, სანამ არ აღმოჩნდება სინქრონული სერია ტყვიავის მომიჯნავე ტერიტორიიდან. ამავე პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს 4 მამაკაცისა და 1 დედაკაცის თავის ქალა ახალციხის ე. წ. ამირანის გორიდან. ეს თავის ქალები მოპოვებულია ახალციხის ექსპედიციის მიერ 1959—1960 წლებში (ტ. ჩუბინიძე, 1963). ადრებრინჯაოს ხანას ეკუთვნის, აგრეთვე, ერთი ქალის თავის ქალა თეთრი წყაროს რაიონის სოფ. ბედენიდან (თავის ქალა ანთროპოლოგიის განყოფილებას გადასცა არქეოლოგმა გ. გობეჯიშვილმა) და სხვ. სულ ადრეული ბრინჯაოს ხანისათვის საქართველოს ტერიტორიიდან ჩვენ განკარგულებაშია 25 მამაკაცისა და 16 ქალის თავის ქალა (იხ. ცხრ. 2). მასალები მოპოვებულია ძირითადად ქართლისა და სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე.

უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის ნოსახლეობის ზოგადი ანთროპოლოგიური ტიპის თავისებურებების შესახებ: როგორც ჩანს (იხ. ცხრ. 3/1, 3/2, 3/3 და 3/4), ზოგა-

ადრებრიხჯაოს ხანის მასალები საქართველოს ტერიტორიიდან

რეგონები	პუნქტები	ა	ღ	მ+ღ	სულ რეგონებში		
					ა	ღ	მ+ღ
ქართლის	ტყვიავი	7	5	12	7	5	12
მთის წინა ზოლის	ენვალი	1	—	1	1	—	1
სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს	კიკეთი	12	5	17	—	—	—
	აბელია	—	1	1	—	—	—
	ბელენი	—	1	1	13	8	21
	არღისუბანი	1	1	2	—	—	—
სამხრეთ საქართველოს	ახალციხე	4	1	5	4	1	5
კახეთის	სიღნაღი	2	1	3	2	1	3
იმერეთის	კიათურა	—	1	1	—	1	1
ს უ ლ საქართველოს ტერიტორიიდან		—	—	—	27	16	43

დად ამ დროის მოსახლეობისათვის დამახასიათებელი იყო: ქალას ძალზე დიდი გრძივი და ზომიერი განივი დიამეტრი, საშუალოზე დაბალი ქალას მაჩვენებელი, საშუალოზე ვიწრო ყურთაშუა სიგანე, ქალასარქველის ზომიერი სიმაღლე, საშუალოზე დიდი ჰორიზონტული გარშემოწერილობა და საგიტალური რკალი, საშუალო ზომის განივი რკალი, საშუალო სიგრძისა და საშუალოზე ფართო შუბლის ძვალი. მამაკაცების სერიაში საშუალოზე მეტად დაქანებული შუბლი, ხოლო ქალების სერიაში ზომიერად დაქანებული ან სწორი შუბლი; ქალას გრძელი ფუძე, ზომიერი სიგანისა და სიგრძის კეფის ძვალი, ძალზე სწორი კეფის ზედა ნაწილის კუთხით. საშუალოზე გრძელი თხემის ძვალი, საშუალოზე ვიწრო ყვრიმალთაშუა დიამეტრი. სახის შუა სიგანე მამაკაცების სერიაში ზომიერი, ქალების სერიაში საშუალოზე ვიწრო; სახის ზედა სიგანის მიხედვით ქალების სერია ზომიერი სიგანით ხასიათდება, ხოლო მამაკაცების სერია საშუალოზე მეტი სიდიდებით; სახე საშუალო სიმაღლის, ზედა ჰორიზონტული კუთხის მიხედვით საშუალოზე მეტად პროფილირებული, ხოლო შუა ჰორიზონტული კუთხის მიხედვით ძალზე პროფილირებული; სახის საერთო კუთხე ძალზე სწორი; ცხვირი საშუალო სიმაღლისა და სიგანისა, ცხვირის უნაგირის დაკრიონული სიმაღლე საშუალოზე მეტი, ხო-

ლო სიმოტური სიმალლე ძალიან დიდი; ცხვირის ძვლების კუთხე პროფილის ხაზთან დიდი, თვალბუდის სიგანე და სიმალლე მამაკაცების სერიაში საშუალოზე მეტი, ხოლო ქალების სერიაში ზონიერი.

ამრიგად, როგორც ჩანს, საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის მოსახლეობისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი ყოფილა: ქალას დაბალი მაჩვენებელი, საშუალოზე ფართო შუბლი, ქალას გრძელი ფუძე, კეფის სწორი ზედა ნაწილი, თხემის გრძელი ქორდა, საშუალოზე ვიწრო, პორიზონტულ პროექციაში ძალზე მკვეთრად პროფილირებული, ხოლო ვერტიკალურ პროექციაში ძალზე სწორი სახე, მკვეთრად წარზიდული ცხვირი და ცხვირის მაღალი უნაგირი.

ნიშნების ეს კომპლექსი ექვს არ ბადებს, რომ ადრებრინჯაოს ხანის მოსახლეობა საქართველოში მედიტერანული ანუ ხმელთაშუაზღვისპირული ტიპისა იყო. ჩვენ ამ საკითხს კიდევ ერთხელ დაუბრუნდებით მასალების შედარებით— ანთროპოლოგიურ მიმოხილვისას, აქ კი კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ ენეოლითური ხანის ერთადერთი თავის ქალა, რომელზედაც ვერ შევნიშნეთ მედიტერანული რასის კავკასიური ნაირსახეობისათვის აგრე რიგად დამახასიათებელი: სახის მკვეთრი პროფილირება, ცხვირის წარზიდულობა და ცხვირის უნაგირის სიმალლე. ადრებრინჯაოს ხანისათვის, როგორც ვნახეთ, საქართველოს მოსახლეობაში უკვე მთლიანად ჩამოყალიბებული ჩანს ხმელთაშუაზღვისპირული რასისათვის დამახასიათებელი ანთროპოლოგიური ნიშნების მთელი კომპლექსი; აქვე იმასაც უნდა გავუსვათ ხაზი, რომ მედიტერანული რასის კავკასიური ნაირსახეობისათვის დამახასიათებელი სახის მკვეთრი პორიზონტული პროფილირება, ცხვირის წარზიდულობა და უნაგირის დიდი სიმალლე, უკვე ამ პერიოდშიც საკმაოდ თვალნათლივ იჩენს თავს. ეს ფაქტი გარკვეული მნიშვნელობის მქონეა საქართველოს მოსახლეობის ანთროპოლოგიური ისტორიისათვის.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მოპოვებულ თავის ქალებს, ცხადია, ახასიათებს გარკვეული თავისებურებები, რომლებიც მათ ძირითადი ტიპისაგან განასხვავებენ. ჩვენ ამ სერიებს ქვემოთ შევვებებით, მაგრამ წინამძღვრის სახით შევნიშნავთ, რომ ეს განსხვავებები ყოველთვის ტიპოლოგიურ თავისებურებებად არ უნდა მივიჩნიოთ. ვინაიდან დაკვირვებათა მცირე რიცხვის გამო ისინი შეიძლება ინდივიდუალური ვარიაციების მაჩვენებლები იყვნენ (იხ. ცხრ. 12/1, 12/2, 12/3, 12/4, 12/5, 12/6, 12/7, 12/8).

ტყვიავის სერიის თავის ქალებისათვის დამახასიათებელია: თავის გრძივი დიამეტრის ძალიან დიდი ზომები; გამონაკლისია მხოლოდ ერთი თავის ქალა, რომელიც ნაპოვნია მე-12 სამარხში. ეს თავის ქალა საკმაოდ მკვეთრად გამოირჩევა სხვა ნიშნებითაც ამ სერიის თავის ქალებისაგან. ამაზე ქვემოთაც გვექნება საუბარი, აქ კი, სპეციალურად გვინდა გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ მიცვალებული, რომელსაც ეკუთვნოდა ეს თავის ქალა, მარცხენა გვერდზე იყო დასვენებული, ;რაც შეიძლება იმის მაჩვენებელი იყოს, რომ თავის ქალა ქალისაა, ჩვენ კი ის, ანატომიური ნიშნების მიხედვით, მამაკაცების სერიაში შევიყვანეთ. გარდა ამისა, ჩვენ სამარხის ნომერს აქ სრულიად შეგნებულად გავუსვით ხაზი, ვინაიდან შეიძლება საექვო აღმოჩნდეს სწორედ ამ სამარხის პერიოდიზაცია. ასეა. თუ ისე, ეს თავის ქალა მთელი თავისი ნიშნებით უფრო მომდევნო ხანის (საწელდობრ, ჩვენი წელთაღრიცხვის 1 ათასწლეულის დასასრულის) ქალებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს ატარებს. მაგრამ რადგანაც მასალების დათარიღების საკითხი ჩვენ კომპეტენციაში არ შედის და არც მოგვეპოვება საამისოდ (მორფოლოგიური იერ-სახის გარდა) რაიმე სარწმუნო კრიტერიუმი, ამიტომ, ჭერჭერობით, ეს თავის ქალა საკვლევი პერიოდის მამაკაცების სერიაში რჩება, თუმც, ანთროპოლოგიურად განსხვავდება, არამარტო ტყვიავის სერიისაგან, არამედ ამ და მომდევნო პერიოდის ყველა, ჩვენთვის დღემდე ცნობილი, თავის ქალებისაგან. რომ ამ სერიისათვის ქალას სიგრძის დიდი და შეიძლება ძალზე დიდი ზომებიც კი არის დამახასიათებელი, ეს თუნდაც იქიდანაც ჩანს, რომ ქალების თავის ქალებზეც ეს ნიშანი ძალზე დიდ ზომებს აღწევს. ქალას განივი დიამეტრი საშუალოა, გამონაკლისს აქაც მე-12 სამარხში აღმოჩენილი თავის ქალა წარმოადგენს, რომელსაც ძალზე დიდი განივი დიამეტრი აქვს. თავის მაჩვენებელი დაბალია. ამ სერიისათვის ის 75-ის ფარგლებში მერყეობს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისევე იმ ერთ თავის ქალას. მე-12 სამარხში აღმოჩენილ თავის ქალაზე მაჩვენებელი, აგრეთვე, მაქსიმალურია, მისი მაჩვენებელი—91.3 თვით თანამედროვე ბრაჟიერანული ჭგუფებისათვის კი ძალზე დიდია, მით უმეტეს გასაოცარია ასეთი თავის მაჩვენებელი ადრებრინჯაოს ხანისათვის; ნიშნის ინდივიდუალური ვარიაციების მხედველობაში მიღებაც კი არ გვაძლევს საშუალებას, გოცევა არ გამოვთქვათ ასეთი ჰიპერბრაჟიერანული ფორმის შენიშვნისას, როგორც ჩვენში, ისე სხვაგან. ქალასარქველის სიმალლე,

როგორც აბსოლუტური ზომების, ისე მაჩვენებლების მიხედვით, დაბალია. საერთოდ, ქალას ზომები დიდია, რაზედაც წარმოდგენას გვიქმნის ქალას გარშემოწერილობის დიდი ზომები, ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ქალას როგორც განივი, ასევე საგიტალური რკალები, საშუალო სიდიდეების ფარგლებში ეტევიან. შუბლი ფართოა, შუბლის ძელის სიგრძე საშუალო ზომისაა, ამასთანავე შუბლის როგორც რკალი, ისე ქორდა ერთიდაიგივე კატეგორიაში ექცევიან, რის გამო შუბლის მაჩვენებელი საშუალო სიდიდისაა. თხემის რკალი საშუალო სიდიდის არის, ქორდა საშუალოზე მცირე, რის გამო მაჩვენებელი ძალზე მცირეა, რაც თხემის თავისებური ფორმით უნდა აიხსნას. კეფა საშუალო სიგანისაა. საშუალოა, აგრეთვე, კეფის რკალისა და ქორდის სიდიდეებიც. სახის ქალაზე ძალიან მცირეა შესწავლილი ნიშნების რაოდენობა. მაინც შეიძლება შევნიშნოთ, რომ სახე საშუალო სიმაღლისაა; ყვრიმალთაშუა დიამეტრის და სახის შუა სიგანის მიხედვით, საშუალო სიგანის, ხოლო სახის ზედა ნაწილის სიგანე — დიდია. ჩვენი აზრით, არც ეს ნიშანია დამახასიათებელი ამ პერიოდისათვის. ამავე მიზეზით უნდა იყოს გამოწვეული სახის ზემო კუთხის დიდი ზომა, რომელიც ისევ იმ ერთადერთ თავის ქალაზეა აღებული (მე-12 სამარხი). სამაგიეროდ, საკმარის დამახასიათებელი უნდა იყოს ამ სერიისათვის სახის შუა კუთხის მინიმალური ზომები, რაც გვაძლევს საშუალებას მთლიანად სერია დავახასიათოთ, როგორც მკვეთრად პროთილირებული. ცხვირი საშუალო სიმაღლისაა და ვიწრო. ცხვირის უნაგირი ვიწროა და მაღალი, მაჩვენებლის მიხედვით ძალზე მაღალიც კი. თვალბუდეები საშუალო სიმაღლისა და სიგანისანი არიან. ამ სერიისათვის, როგორც ჩანს, დამახასიათებელია ალვეოლარული რკალის როგორც დიდი სიგრძე, ასევე დიდი სიგანე. მაჩვენებელი დაბალია, კბილბუდის რკალის წაგრძელებული ფორმის გამო. ასევე დიდია სახის როგორც სიგრძე, ისე სიგანე.

ამრიგად, ტყვიავის კრანოლოგიური სერიის მამაკაცების თავის ქალებს საქართველოს ბრინჯაოს ხანის მოსახლეობის ზოგადი ტიპისაგან განასხვავებს საშუალო ზომის გრძივი დიამეტრი და საშუალო სიდიდის ქალას მაჩვენებელი. მცირე ზომის თხემის ქორდა და საშუალო სიდიდის ყვრიმალთაშუა დიამეტრი, ხოლო ქალების სერიაში ასეთი განმასხვავებელი ნიშანი მხოლოდ ერთია; ეს არის საშუალო ზომის სახის შუა პორიზონტული კუთხე.

ახალციხის სერიის მამაკაცებისათვის მხოლოდ თვალ-

ბუდის მაღალი მაჩვენებელი ჩანს განმასხვავებლად, ხოლო ქალე-
ბის სერიაში ცხვირის საშუალოზე დაბალი სიმოტური სიმალღე.

კიკეთის კრანოლოგიური სერიის მამაკაცები ზომიერად
დაქანებული კეფის ზედა ნაწილის კუთხით და საშუალოზე დაბა-
ლი ცხვირის უნაგირით გამოირჩევიან, ხოლო ქალებს თითქმის
არა აქვთ განმასხვავებელი ნიშნები. ყურადღებას იმსახურებს მხო-
ლოდ ის გარემოება, რომ როგორც მამაკაცების, ისე ქალების თა-
ვის ქალებზე ძალზე დაბალია თავის ქალას მაჩვენებელი.

ბედენში მოპოვებული ქალის ერთადერთი თავის ქალა
საშუალოზე მოკლე ქალას ფუძით გამოირჩევა.

არდისუბანში მოპოვებული მამაკაცის თავის ქალასათ-
ვის არც ერთი ნიშანი არ არის განმასხვავებელი, ხოლო ქალის
თავის ქალასათვის ასეთია თხემის ძალზე მცირე ქორდა.

აბელიაში მოპოვებული ქალის თავის ქალა არ განსხვავ-
დება ზოგადი ტიპისაგან, ხოლო

უინვალში მოპოვებული მამაკაცის ერთი თავის ქალა სა-
შუალოზე ფართო სახით უპირისპირდება დანარჩენ სერიებს.

სიდნალში მოპოვებული თავის ქალებისათვის ქალას სა-
შუალოზე მცირე სიგანეა განმასხვავებელი, ხოლო

კიათურის ტერიტორიაზე მოპოვებული ქალის ერთი თა-
ვის ქალა თითქმის არაფრით განსხვავდება ზოგადი ტიპისაგან.

ჩვენ არაერთხელ აღვინიშნავს, რომ დაკვირვებათა მცირე
რიცხვით გამოწვეული ინდივიდუალური თავისებურებების ხასია-
თის მქონე განსხვავებები ხშირად აღემატებიან ხოლმე მცირე,
მაგრამ ტიპოლოგიური ხასიათის განსხვავებას. ტყვიავის სერიაში
ჩვენ თვალნათლივ შევხვდით საამისო მაგალითს; ამ მხრივ არც
სხვა სერიები უნდა წარმოადგენდნენ გამონაკლისს, მაგრამ ამჟა-
მად ჩვენ, ცალკეული განსხვავებები კი არა, ზოგადი მსგავსების
ფაქტი უფრო გვაინტერესებს. როგორც ცალკეული სერიების
განმასხვავებელი ნიშნების ჩაშთვლისას დავრწმუნდით, ასეთე-
ბის რიცხვი ძალზე მცირეა. ჩვენ მხოლოდ ტავტოლოგიის თავიდან
აცილების მიზნით არ ვახსენებდით იმ ნიშნებს, რომლებშიაც
მსგავსება ექვს არ იწვევს. თუ გავიხსენებთ, რომ შესწავლილი
ნიშნების რაოდენობა შეიღ ათეულს აღემატება, ხოლო განმასხვა-
ვებელი ნიშნების რიცხვი კი ცალკეულ სერიებში თითო-ოროლაა,
არ გვიძნელდება იმ დასკვნის გამოტანა, რომ მსგავსება
საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ ცალკეულ რეგიონა-
ლურ სერიებს შორის სრულიად უდავოა.

ამრიგად, საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის მოსახლეობისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ზომიერი დოლიქოკრანია, თავის ქალას დიდი ტოტალური ზომები, ფართო შუბლი, ზომიერი სიგანისა და სიმაღლის, მკვეთრად პროფილირებული სახე; ზომიერი სიმაღლის, ვიწრო და მკვეთრად გამოხატული ცხვირი, ცხვირის მაღალი უნაგირი და დიდი ზომის სასა. ეს არის ნიშნების ის კომპლექსი, რომელსაც ჩვენ მედიტერანულს ვუწოდებთ, მაგრამ ცალკეული ნიშნების თავისებურება გვარწმუნებს, რომ ამ კომპლექსში უკვე გარკვევით ჩანს კავკასიური ნაირსახეობისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი; თუ რა ადგილს იკავებს ეს ტიპი ზოგად რასობრივ სისტემატიკაში და რა ურთიერთობას ამჟღავნებს ის ტერიტორიულად უახლოესი რეგიონების მოსახლეობასთან, ამის შესახებ საუბარი გვექნება შედარებით-ანთროპოლოგიური მიმოხილვისას; აქ კი ზოგადი დასკვნის სახით შეიძლება წარმოვადგინოთ დებულება იმის შესახებ, რომ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის მოსახლეობა ხასიათდებოდა ხმელთაშუაზღვისპირული რასის კავკასიური ნაირსახეობის ანთროპოლოგიური ნიშნების გარკვეული კომპლექსით, თუმც ეს კომპლექსი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული საბოლოო სახით.

მონაცემები საქართველოს ანთროპოლოგიისათვის შუაბრინჯაოს ხანაში

შუაბრინჯაოს ხანა საქართველოში, რომელსაც ძვ. წ. აღ. XVII—XIII სს. აკუთვნებენ, ხასიათდება წინამორბედი ხანის კულტურულ მიღწევათა სწრაფი და მძლავრი განვითარებით. ცხენისა და ბორბლიანი ტრანსპორტის შემოჭრამ ყოფაში ახალი სტიმული მისცა ქართველი ტომების ადრევე არსებულ ურთიერთობას წინააზიური კულტურის ცენტრებთან. მომძლავრდნენ ცალკეული ტომები, მატერიალური დოვლათის დაგროვებამ ტომების და გვარების მეთაურთა პრივილეგირებული მდგომარეობის პირობები შექმნა. თავის მხრივ ამან განაპირობა გვაროვნული არისტოკრატის მატერიალური და უფლებრივი დაწინაურება-გამოყოფის პროცესი. ამ დროისათვის უკვე გარკვევით ჩანს წინა პერიოდში შენიშნული კულტურის ორი კერა: დასავლურქართული და აღმოსავლურქართული კულტურის წრეები. განსაკუთრებით ყურადსაღებია ის გარემოება, რომ იქ, სადაც შუაბრინჯაოს ხანის კულტურის ძეგლებია აღმოჩენილი, ყოველთვის შეინიშნება გვიანი

ბრინჯაოსა და მისი მომდევნო ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები. ეს ფაქტი უდავო მაჩვენებელი უნდა იყოს იმისა, რომ მოსახლეობა ამ ადგილებში უწყვეტი იყო და მის შედგენილობაში არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი ძვრები. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა არქეოლოგების მიერ მიღებული დასკვნა იმის შესახებ, რომ დასავლურქართული კულტურის ძეგლები გავრცელებულია შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილშიაც და რომ ანალოგიური ძეგლები გვხვდება კავკასიონის ჩრდილო კალთებზეც. კავშირი იმიერ და ამიერკავკასიის კულტურებს შორის ჯერ კიდევ წინამორბედ ხანაში დამყარდა, ხოლო შუაბრინჯაოს ხანის მომდევნო პერიოდში ეს კავშირი უფრო გაღრმავებული და განმტკიცებული ჩანს (საქართველოს არქეოლოგია, 1959).

შუაბრინჯაოს ხანის კრანიოლოგიური მასალები საქართველოდან 13 ერთეულს არ აღემატებიან. ეს სერია ყველაზე რიცხვმცირეა, სხვა, ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ბრინჯაოს ხანის კრანიოლოგიურ სერიებს შორის; თანაც ეს თავის ქალები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან არიან წარმოდგენილნი; მხოლოდ ერთ პუნქტში — (თელავის რაიონის პუნქტ შვინდიანში) მოპოვებულია 5 თავის ქალა, დანარჩენ პუნქტებში: თრელი, კასპი, კეთილეთი, ვარძია, ახჩია, არბოშიკი და საგვარჯილე, თითო-თითო თავის ქალაა მოპოვებული. ამათგან 6 მამაკაცის თავის ქალაა, ხოლო 7 ქალის (იხ. ცხრ. 4).

ცხრილი 4

შუაბრინჯაოს ხანის მასალები საქართველოს ტერიტორიიდან

რეგიონები	პუნქტები	მ	ღ	მ+ღ	სულ რეგიონები		
					მ	ღ	მ+ღ
თბილისის	თრელი	—	1	1	—	1	1
ქართლის	კასპი	1	—	1	1	—	1
სამხრეთ საქართველოს	კეთილეთი	—	1	1	—	—	—
	ვარძია	1	—	1	1	2	3
	ახჩია	—	1	1	—	—	—
კახეთის	შვინდიანი	3	2	5	—	—	—
	არბოშიკი	1	1	2	4	3	7
იმერეთის	საგვარჯილე	—	1	1	—	1	1
სულ საქართველოს ტერიტორიიდან		—	—	—	6	7	13

მამაკაცების თავის ქალები, ზოგადად, ხასიათდებიან: ზომიერი გრძივი და განივი დიამეტრებით, ქალას მაჩვენებელი საშუალოზე დაბალია; ყურთაშუა სიგანე საშუალო ზომისაა, საშუალო ზომისაა აგრეთვე ქალას სიმაღლე ბაზიონ-ბრეგმა, ხოლო ქალას სიმაღლე პორიონ-ბრეგმა საშუალოზე მეტია. ქალას პორიონტული გარშემოწერილობა, საგიტალური და განივი რკალები საშუალო ზომისაა. შუბლის ძვალი საშუალოზე მეტი სიგრძისაა და საშუალო სიგანის (უმცირესი სიგანე საშუალოზე მეტიც კია). შუბლის კუთხე ნაზიონ-მეტოპიონ საშუალოა, ხოლო გლაბელა-მეტოპიონ საშუალოზე მეტი. ქალას ფუძე გრძელია, კეფის ძვალი საშუალო სიგრძისა და სიგანის, კეფის ზედა ნაწილის კუთხე საშუალოზე მეტი; თხემის ძვალიც საშუალო სიგრძისა და სიგანისაა; ყვრიმალთაშუა დიამეტრის გაზომვა, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა, ხოლო სახის შუა და ზედა სიგანე საშუალო სიდიდისაა. სახის ზედა სიმაღლე საშუალოზე მეტი, სახის ზედა პორიონტული კუთხე ძალზე მცირე, ხოლო სახის ვერტიკალური საერთო კუთხე — ძალზე დიდი. სახე საშუალოზე მეტად დახრილი, ცხვირი საშუალოზე ვიწრო და საშუალო სიმაღლისა, ცხვირის უნაგირის დაკრიონული სიმაღლე საშუალოზე მეტი, ხოლო ჰიმოტური სიმაღლე საშუალო, ცხვირის ძვლების კუთხე პროფილის ხაზთან — საშუალოზე მეტი, თვალბუდის სიგანე საშუალოზე მეტი, ხოლო სიმაღლე საშუალოზე მცირე.

ამავე პერიოდის ქალები, ალბათ, დაკვირვებათა მცირე რიცხვის გამო, ზოგ ნიშანში განსხვავდებიან მამაკაცებისაგან. მათ, საზოგადოდ, ახასიათებს: საშუალოზე მეტი გრძივი და საშუალოზე მეტი განივი დიამეტრები. ქალას მაჩვენებელი ძალზე დაბალია. ყურთაშუა სიგანე საშუალოზე მეტი. ქალასარქველის სიმაღლე ბაზიონ-ბრეგმა საშუალო სიდიდისაა, ხოლო სიმაღლე პორიონ-ბრეგმა ძალზე მცირე. პორიონტული გარშემოწერილობა დიდი, ხოლო საგიტალური რკალი საშუალოზე მეტი, შუბლის ძვალი საშუალო სიგანისა და სიმაღლის. ქალას ფუძე საშუალოზე მცირე სიგრძის, კეფის ძვალი საშუალოზე მეტი სიგრძისა და სიგანის. თხემის ძვალი საშუალოზე გრძელი. ყვრიმალთაშუა დიამეტრის გაზომვა ვერც აქ მოხერხდა. სახის შუა სიგანე ზომიერი, ხოლო ზედა სიგანე საშუალოზე მეტი, სიმაღლე მცირე, ზედა პორიონტული კუთხე ზომიერი. ცხვირის უნაგირი დაბალი, თვითონ ცხვირი საშუალოზე დაბალი; თვალბუდე განიერი და საშუალო სიმაღლის (იხ. ცხრ. 5/1, 5/2, 5/3, 5/4)

ამრიგად, შუაბრინჯაოს ხანის საქართველოს მოსახლეობისათვის, როგორც ჩანს, საერთოდ დამახასიათებელი ყოფილა: ქალას დიდი პორიზონტული გარშემოწერილობა, დაბალი მაჩვენებელი. კეფის ზედა ნაწილის კუთხე სწორი, საშუალოზე მეტად პროფილირებული, სწორი სახე, მკვეთრად წარზიდული ცხვირი. საშუალოზე მაღალი სიმოტური მაჩვენებელი და საშუალოზე ფართო თვალბუდის სიგანე. ჩვენ შევჩერდით იმ ნიშნებზე, რომლებიც შუაბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელ, საკუთრივ მათთვის განმასხვავებელ, თვისებებს ამჟღავნებენ; სწორედ ამ ნიშნების მიხედვით არის შეფასებული მათი მსგავსება-განსხვავება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოპოვებულ თავის ქალებთან. (იხ. ცხრ. 13/1, 13/2, 13/3, 13/4)

თ რ ე ლ შ ი მოპოვებული ერთადერთი თავის ქალა მეტისმეტად ფრაგმენტულია და მასზე საერთოდ არ მოხერხდა არცერთი ზემოხსენებული ნიშნის გაზომვა.

კ ა ს პ შ ი მოპოვებული მამაკაცის 1 თავის ქალა ხასიათდება: უფრო მეტი დოლიქოკრანიით, უფრო მაღალი სახით და უფრო მცირედ წარზიდული ცხვირის ძელებით.

კ ე თ ი ლ ე თ ი ს ერთადერთი ქალის თავის ქალა გამოირჩევა ძალიან დაბალი დაკრიონული სიმაღლით და ძალიან დიდი თვალბუდის სიგანით.

ა ხ ჩ ი ა შ ი მოპოვებული ქალის ერთადერთ თავის ქალაზე ვერ მოხერხდა განმასხვავებელი ნიშნების აღება. ერთადერთი, რისი თქმაც ხერხდება, ეს არის შუბლის ძალზე დაბალი მაჩვენებელი, რითაც ის მკვეთრად გამოირჩევა სხვა იმდროინდელი თავის ქალებისაგან.

შ გ ი ნ დ ი ა ნ შ ი მოპოვებული მამაკაცების თავის ქალები გამოირჩევიან საშუალოზე მცირე პორიზონტული გარშემოწერილობით და ცხვირის ძალზე მაღალი უნაგირით, ზოლო ქალების სერია შუბლის ძალზე დიდი მაჩვენებლით და მკვეთრად დოლიქოკრანული ქალასარქველით.

ა რ ბ ო შ ი კ ი ს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მამაკაცის 1 თავის ქალა გამოირჩევა კეფის ზედა ნაწილის დაქანებული ფორმით, სახის მცირე საერთო კუთხით, ცხვირის ძელების ძალზე დიდი კუთხით პროფილის ხაზთან და მაღალი სიმოტური მაჩვენებლით. ქალის თავის ქალა, ამავე პუნქტიდან, ხასიათდება ძალზე დიდი პორიზონტული გარშემოწერილობით, დაბალი სახით და შედარებით მცირე პორიზონტული პროფილირებით.

საგვარჯილეში მოპოვებული თავის ქალაზე მხოლოდ თვალბუდის სიგანის გაზომვა მოხერხდა, რომელიც განსხვავებით ზოგადი ტიპისაგან, ამ შემთხვევაში, საშუალოზე მცირეა.

ასეთია ის მცირეოდენი ინფორმაცია, რომელიც საქართველოს შუაბრინჯაოს ხანის მოსახლეობის ანთროპოლოგიური თავისებურებების შესახებ გავაჩნია. ცხადია, ქალასარქველის მკვეთრად დოლიქოკრანული ფორმა, სახის მკვეთრი პორიზონტული პროფილირება, მკვეთრად წარზიდული ცხვირი და ცხვირის მაღალი უნაგირი გვაძლევს საშუალებას საქართველოს ბრინჯაოს ხანის მოსახლეობა ხმელთაშუაზღვისპირული რასის კავკასიურ ნაირსახეობას მივაკუთვნოთ. ამავე დროს, საფუძველი გვაქვს შევნიშნოთ, რომ ადრეული ბრინჯაოს ხანის მოსახლეობასთან მას ნიშნების უდიდესი უმრავლესობა აკავშირებს. ასეთებია მაგალითად: ქალასარქველის ზომიერი განივი დიამეტრი, ქალას საშუალოზე დიდი გარშემოწერილობა, მისი დოლიქოკრანული ფორმა, სახის ზომიერი სიგანე, მისი მკვეთრი პროფილირება, ვერტიკალურ პროექციაში სწორი სახე, ცხვირის მაღალი უნაგირი, ცხვირის ძვლებს დიდი კუთხე პროფილის ხაზთან, საშუალოზე მეტი სიმოტური მაჩვენებელი, საშუალოზე დიდი თვალბუდის სიგანე და სხვ. მაგრამ ამავე დროს ზოგიერთ ნიშანში შეიმჩნევა მცირეოდენი განსხვავებებიც. ასეთებია მაგალითად: ქალას ძალზე დაბალი მაჩვენებელი, სწორი შუბლი, შედარებით მცირე სიმოტური სიმაღლე და შედარებით უფრო განიერი თვალბუდეები. ჩვენის აზრით, ეს განსხვავებები დაკვირვებათა მცირე რიცხვით უნდა აიხსნას. ყოველ შემთხვევაში, ისინი უფრო მორფოლოგიურ ხასიათს ატარებენ, ვიდრე ტიპოლოგიური განსხვავების ხასიათს. საბოლოოდ, ეს საკითხი გადაწყდება ალბათ მაშინ, როდესაც დაკვირვებათა რიცხვი გაიზრდება; ჯერჯერობით კი, უდავოა მხოლოდ ის, რომ შუაბრინჯაოს ხანის ისევე, როგორც ადრებრინჯაოს ხანის საქართველოს მოსახლეობა ხასიათდებოდა მედიტერანული ანთროპოლოგიური ტიპის ნიშნების მთელი კომპლექსით, რომელშიაც გარკვევით იჩენს თავს ამ ტიპის კავკასიური ნაირსახეობისათვის დამახასიათებელი თავისებურებები.

მონაცემები საქართველოს ანთროპოლოგიისათვის

გვიანბრინჯაოს (I ეტაპი) ხანაში

გვიანი ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მონაპოვარი უმდიდრესია საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ ყველა ხანის

კულტურის ძეგლებთან შედარებით. განსაკუთრებით ეს გვიან-ბრინჯაოს ხანის დასავლურ-ქართული კულტურის შესახებ ითქმის, რომელსაც, როგორც ცნობილია, თავისი საკუთარი, საკმაოდ მიწავერი, საწარმოო ცენტრები გააჩნდა. ეს კულტურა თავდაპირველად, ჩრდილო კავკასიაში იყო აღმოჩენილი სოფ. ყობანთან და მას „ყობანის“ კულტურა უწოდეს. შემდგომმა კვლევამ ცხადყო კოლხური კულტურის თვითმყოფადობა და მას ჭერ „კოლხურ-ყობანური“, ხოლო შემდგომ „კოლხური“ კულტურა უწოდეს. მიუხედავად იმისა, რომ შუაბრინჯაოს კულტურა დასავლეთ საქართველოში არასაკმარისად არის შესწავლილი, არქეოლოგებს მაინც აქვთ სათანადო საფუძველი ამტკიცონ, რომ კოლხური კულტურა უშუალოდ დასავლურ-ქართული ბრინჯაოს კულტურის განვითარების შედეგია. ჩვენთვის, განსაკუთრებით, საინტერესოა გვიანი ბრინჯაოს ხანა აღმოსავლეთ საქართველოში, ვინაიდან ამ დროს, ჩვენ ხელთ დღემდე არსებული პალეოანთროპოლოგიური მასალები მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა მოპოვებული. ისტორიული თვალსაზრისით, ამ პერიოდისათვის, განსაკუთრებით, დამახასიათებელია მეჯოგეობისა და მიწათმოქმედების ერთმანეთისაგან გათიშვა და შემდგომი გაღრმავება, ხელოსნობის სხვადასხვა დარგის გამოყოფა, გაცვლა-გამოცვლის აღმოცენება, ქალაქების წარმოშობა-ჩამოყალიბების შემდგომი გაძლიერება, კერძო საკუთრების ჩასახვა, პატრიარქალური მონობის გაღრმავება, იბერულ-კავკასიური მოდგმის ხალხთა შორის ქართველური ტომების მიერ ჰეგემონური მდგომარეობის დაკავება, იბერულ და კოლხურ ტომთა გაერთიანებების ჩამოყალიბება და სხვ.

საერთოდ, ეს პერიოდი საზოგადოების საკმაოდ ინტენსიური განვითარების პერიოდია, როგორც ეკონომიკური, ისე სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით. ცხადია, ასეთ პირობებში განსაკუთრებით ინტენსიურად უნდა წარმართულიყო ეთნოგენეზისის პროცესებიც და ამდენად, ანთროპოლოგიური მასალები, რომლებიც ამ პერიოდს ეკუთვნიან, მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ.

აღრე საქართველოს გვიანი ბრინჯაოს პირველი ეტაპის მოსახლეობის ანთროპოლოგიურ თავისებურებებზე წარმოდგენას გვიქმნიდნენ თავის ქალები მხოლოდ სამთავროს სამაროვანიდან (აბღუშელიშვილი, 1954). ამჟამად ამ პერიოდის მასალა ვაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი გახდა. ახალი მასალის მოპოვების თვალსაზრისით, განსაკუთრებით, ნაყოფიერი გამოდგა მცხეთის

მიღამოებში ე. წ. წეროვანის უბანზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრები. როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობას ლებულობს ანთროპოლოგიური რაზმი, რომელმაც 1978—79 წლებში მოიპოვა ამ პერიოდის 30-მდე თავის ქალა (მასალა მოპოვებული, რესტავრირებული და გაზომილია ანთროპოლოგ ნ. კილაძის მიერ). გარდა ამისა, ჩვენ განკარგულებაში აღმოჩნდა ამავე პერიოდის თავის ქალები თბილისის რეგიონიდან (მასალები გადმოგვცა არქეოლოგმა რ. აბრამიშვილმა), კახეთიდან (არქეოლოგები: კ. ფიცხელაური და მერაბ აბდუშელიშვილი) და გარდა ამისა, მამაკაცის ერთი თავის ქალა სამხრეთ საქართველოდან (არქეოლოგი ო. ღამბაშიძე). სულ საქართველოს ტერიტორიიდან, ამჟამად, ჩვენ განკარგულებაშია გვიანბრინჯაოს ხანის პირველი ეტაპის 29 მამაკაცისა და 23 ქალის თავის ქალა (იხ. ცხრ. 6).

ცხრილი 6

გვიანბრინჯაოს ხანის I ეტაპის მასალები საქართველოს ტერიტორიიდან.

რეგიონები	პუნქტები	მ	ღ	მ+ღ	სულ რეგიონებიდან		
					მ	ღ	მ+ღ
თბ-ლ-სის	თრელი	1	1	2	1	1	2
	ნამგალა მიწი	—	1	1	—	1	1
მცხეთის	სამთაერო	8	8	16	—	—	—
	წეროვანი	17	13	30	25	21	46
სამხრეთ საქართველო	ასპინძა (ზეელი)	1	—	1	1	—	1
კახეთის	თელავი (გულგულა)	1	—	1	2	—	2
	სოლხალი (ვაისწყალი)	1	—	1	—	—	—
სულ საქართველოს ტერიტორიიდან		—	—	—	29	23	52

ცხრილი 7

გვიანბრინჯაოს ხანის I ეტაპის მასალები კავკასიის დანარჩენი ტერიტორიიდან.

სომხეთის	ლქაშენი	91	—	91	—	—	—
	არტაყი	22	—	22	113	—	113
სულ კავკასიის ტერიტორიიდან		—	—	—	142	23	165

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს განკარგულებაშია ამავე პერიოდის კრანოლოგიური მონაცემები სომხეთიდან (მასალები შეისწავლა დ. ჭავჭავიძემ): ლქაშენისა და არტიკის მამაკაცების კრანოლოგიური სერიები. ეს მასალები ჩვენ განყოფილებაში დამუშავებული და საშუალო მონაცემები ქვეყნდება აქვე. მათ ანალიზს შეევჩებით კავკასიის მასალების შედარებით ანთროპოლოგიური დახასიათებისას.

მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული და შესწავლილი გვიანბრინჯაოს ხანის პირველი ეტაპის პალეოანთროპოლოგიური მასალები საშუალებას იძლევიან ზოგადი წარმოდგენა შევიქმნათ იმდროინდელ მოსახლეობის ანთროპოლოგიურ თავისებურებებზე (იხ. ცხრილი 7/1, 7/2). მამაკაცების კრანოლოგიური სერია ხასიათდება: საშუალოზე მეტი გრძივი და საშუალოზე მცირე განივი დიამეტრებით, რის გამო ქალას მაჩვენებელი ძალზე დაბალია; საშუალოზე მცირეა ყურთაშუა სიგანე. მაღალია ქალასარქველი. საშუალოზე მეტია ქალას ჰორიზონტული გარშემოწერილობა, გრძივი და განივი რკალები. შუბლი საშუალო სიგრძისა და სიგანისა; ზომიერად დაქანებული. დიდია ქალას ფუძის სიგრძე. კეფის ძვალი საშუალო სიგრძისაა და საშუალოზე ვიწრო, მისი ზედა ნაწილი ძალზე სწორია. თხემის ძვალი საშუალოზე გრძელია. ყვრიმალთაშუა დიამეტრი საშუალოზე ვიწროა, საშუალოზე ვიწროა აგრეთვე სახის შუა სიგანე, ზოლო სახის ზედა სიგანე საშუალო ზომისაა. სახის სიმაღლე საშუალოზე მეტია. ჰორიზონტულ პროექციაში სახე ძალზე მკვეთრად არის პროფილირებული, ზოლო ვერტიკალურში სწორი. ცხვირი საშუალო სიგანისა და მაღალია; მაღალია ცხვირის უნაგირიც; საშუალოზე მეტია ცხვირის ძვლების კუთხე პროფილის ხაზთან. თვალბუდეები საშუალო სიგრძისა და სიგანისაა. ამავე პერიოდის ქალების სერია ხასიათდება: ქალასარქველის ძალზე დიდი სიგრძით და საშუალოზე; მცირე სიგანით. ქალას მაჩვენებელი, ცხადია, ძალზე დაბალია. ქალას სიმაღლე საშუალოზე მეტია, ჰორიზონტული გარშემოწერილობა, განივი და გრძივი რკალები საშუალოზე მეტია, შუბლი საშუალოზე გრძელია და საშუალო სიგანის, ზომიერად დაქანებული. ქალას ფუძის სიგრძე საშუალოზე მეტია. კეფის ძვალი საშუალო სიგრძისა და სიგანისაა. მისი ზედა ნაწილი ძალზე სწორია. თხემის ძვალი გრძელია. ყვრიმალთაშუა დიამეტრი და სახის ზედა სიგანე ზომიერი. სახის შუა სიგანე საშუალოზე მცირე; სახე საშუალოზე მაღალი; ჰორიზონტულ პროექციაში ძალზე მკვეთრად პროფი-

ლირებული, ვერტიკალურში სწორი. ცხვირი საშუალო სიგანისა და საშუალოზე მაღალი; ცხვირის უნაგირი მაღალი, ცხვირის ძვლების კუთხე პროფილის ხაზთან — ძალიან დიდი თვალბუდის სიგანე საშუალო, ხოლო სიმაღლე საშუალოზე ოდნავ მცირე.

ამრიგად, გვიანბრინჯაოს ხანის პირველი პერიოდის მოსახლეობისათვის საერთოდ, როგორც ჩანს, დამახასიათებელი ყოფილა: ქალასარქველის მკვეთრად დოლიქოკრანული ფორმა; საშუალოზე მაღალი ქალასარქველი; საშუალოზე დიდი გარშემოწერილობა, გრძივი და განივი რკალები, საშუალოზე მეტი ქალას ფუძის სიგრძე; კეფის ზედა ნაწილი სწორი, თხემის ძვალი გრძელი, საშუალოზე ვიწრო და საშუალოზე მაღალი, მკვეთრად პროფილირებული და ვერტიკალური სახე; ცხვირის მაღალი უნაგირი; ცხვირის ძვლების დიდი კუთხე პროფილის ხაზთან და ზომიერი თვალბუდეები,

ნიშნების ეს კომპლექსი მთლიანად შეესაბამება მედიტერანული რასის კავკასიური ნაირსახეობის ყველა თავისებურებას. როდესაც ხაზს ვუსვამთ ამ თავისებურებებს, მხედველობაში გვაქვს მკვეთრი დოლიქოკეფალია, ვიწრო და საშუალოზე მაღალი, ძალზე მკვეთრად პროფილირებული სახე. ცხვირის მაღალი უნაგირი და მკვეთრად წარზიდული ცხვირი. ამჟამად ჩვენ საშუალება გვაქვს თვალი გავადევნოთ საკვლევი პერიოდისა და წინამორბედი ხანის სერიების მსგავსება-განსხვავების საკითხს ცალკეულ ნიშანში: თუ აღრე და შუაბრინჯაოს ხანაში ქალას მაჩვენებელი საშუალოზე დაბალი იყო, გვიანბრინჯაოს დასაწყისში ის უკიდურესად დაბალ სიდიდეებს აღწევს. ოდნავ მცირდება შუბლის და კეფის სიგანე. ასევე მოიმატა სახის სიმაღლემ; ჰორიზონტულ სიბრტყეში სახე კიდევ უფრო პროფილირებული გახდა. მოიმატა ცხვირის სიმაღლემ; ოდნავ შემცირდა ცხვირის მაჩვენებელი. თვალბუდეები ზომიერ სიდიდეებს მიუახლოვდნენ. ჩვენ ვალდებულნი ვიყავით ხაზი გაგვესვა ამ მცირეოდენი მორფოლოგიური განსხვავებისათვის, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ამით ეპოქალური ტრანსფორმაციის მიმართულებას ვადასტურებთ. ცხადია, არ არის გამორიცხული შესაძლებლობა იმისა, რომ ეს განსხვავებები ქრონოლოგიურად თანამიმდევარ სერიებში, სწორედ, ეპოქალური ტრანსფორმაციის მაჩვენებლები იყვნენ. მაგრამ იმისათვის, რომ შთაბეჭდილება დასკვნად იქცეს, აუცილებელია სტატისტიკური პარამეტრების ანალიზი, რის საშუალებასაც ჩვენი დაკვირვების მცირე რიცხვი ამჟამად არ იძლევა. შენიშნულმა განსხვავებებმა ტიპოლოგიური სხვაობის შთაბეჭდილება რომ არ შექმნან, ჩვენ კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ, რომ ყველა აქამდე შეს-

წველილი ქრონოლოგიური სერია საქართველოს ტერიტორიიდან ხასიათდება: მაღალი და დოლიქოკრანული ფორმის ქალასარქველით, ზომიერი სიგანის შუბლით, საშუალოზე გრძელი ქალას ფუძით, კეფის ზედა ნაწილის სწორი კუთხით; საშუალოზე გრძელი თხემის ქორდით, ზომიერი სიგანის მკვეთრად პროფილირებული, სწორი სახით, ცხვირის მაღალი უნაგირით და გამონატული ცხვირით. ეს ნიშნები ტიპოლოგიური ერთიანობის მაჩვენებლები არიან და უდავოდ ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ ყველა ჩვენ მიერ აქამდე შესწავლილი ქრონოლოგიური სერია ერთიმეორესთან უშუალო გენეტიკურ კავშირში იმყოფება.

ცალკეული სერიები, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა პუნქტებშია მოპოვებული, მეტ-ნაკლებად გამონატულ რეგიონალურ თავისებურებებს ამჟღავნებენ (იხ. ცხრ. 14/1, 14/2, 14/3, 14/4, 14/5, 14/6).

თ რ ე ლ შ ი მოპოვებული მამაკაცის 1 თავის ქალა სახის ძალზე მცირე შუა სიგანით გამოირჩევა, ხოლო ქალის თავის ქალა საშუალოზე დიდი ყურთაშუა სიგანით, საშუალოზე მცირე განივი რკალით და შედარებით მცირედი პროფილირებული სახით.

ნ ა მ გ ა ლ ა მ ი წ ა ს თ ა ნ მოპოვებული ქალის 1 თავის ქალაზე არ მოხერხდა ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი არც ერთი ნიშნის გაზომვა.

ს ა მ თ ა ვ რ ო ს კრანიოლოგიური სერია შედარებით ნაკლები დოლიქოკეფალიით და განსაკუთრებით დიდი სიმოტური სიმადლით გამოირჩევა, ხოლო

წ ე რ ო ვ ა ნ ი ს კრანიოლოგიური სერია ყურთაშუა სიგანის სიმცირით, დიდი შუბლგანივი მაჩვენებლით და ცხვირის დიდი სიმადლით

ა ს პ ი ნ ძ ი ს რაიონში მოპოვებული 1 თავის ქალა საშუალოზე დაბალი ცხვირით ხასიათდება, ხოლო

თ ე ლ ა ვ ი ს რაიონში მოპოვებული მამაკაცის 1 თავის ქალა დაბალი სახითა და სახის შედარებით მცირე პორიზონტული პროფილირებით.

ს ი ღ ნ ა ლ შ ი მოპოვებული მამაკაცის 1 თავის ქალა სახის ძალიან დიდი შუა სიგანით გამოირჩევა საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული სხვა სინქრონული სერიებისაგან.

ჩვენ ვერც ამ შემთხვევაში ვხედავთ, ცალკეულ ტერიტორიულ სერიებში, რეგიონალური თავისებურებების მქონე ნიშნების კომპლექსს. შენიშნული განსხვავებები, ჩვენი აზრით, ინდივიდუალური თავისებურებების მაჩვენებლები უნდა იყვნენ.

კრანიოლოგიური მასალები, რომლებიც გვიანბრინჯაოს მეორე ეტაპით თარიღდებიან, ისევე როგორც წინამორბედი ხანის თავის ქალები, მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არიან მოპოვებულნი, მაგრამ თუ ადრე ჩვენ ამ პერიოდის მოსახლეობაზე წარმოდგენას გვიქმნიდნენ მხოლოდ სამთავროს (აბღუშელიშვილი, 1954), ხოლო შემდეგ დიღმის სამაროვანზე მოპოვებული მასალები (აბღუშელიშვილი 1974), ამჟამად მასალები გვაქვს წეროვანის სამაროვანიდან (მოპოვებული და შესწავლილია ანთროპოლოგ ნ. კილაძის მიერ), ალგეთის ხეობიდან (მოპოვებულია არქეოლოგ რ. აბრამიშვილის მიერ), დმანისიდან (მოპოვებულია არქეოლოგ ვ. ჯაფარიძის მიერ), ასპინძიდან (მოპოვებულია არქეოლოგ ო. ღამბაშიძის მიერ) და კახეთიდან (მოპოვებულია არქეოლოგ კ. ფიცხელაურისა და მერ. აბღუშელიშვილის მიერ). სულ ამჟამად ჩვენს განკარგულებაშია გვიანბრინჯაოს მეორე ეტაპის 22 მამაკაცისა და 25 ქალის თავის ქალა. როგორც სხვა ადრეულ პერიოდებში, ისე გვიანი ბრინჯაოს ხანის მეორე ეტაპზედაც, არა გვაქვს მასალები დასავლეთ საქართველოდან. ეს მით უფრო დასაინათ, რომ სწორედ ამ პერიოდში შეინიშნება საკმაოდ სერიოზული ეთნიკური ძვრები დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიებზე. საქმეს კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ დროის ამ მონაკვეთის თავის ქალები არ მოგვეპოვება არც სომხეთისა და არც აზერბაიჯანის ტერიტორიებიდან. ამიტომ, თუ სხვა პერიოდებისათვის ქრონოლოგიურ და რეგიონალურ ხარვეზს ექსტრაპოლაციის გზით ვაფასებთ, ამ შემთხვევაში ასეთ საშუალებასაც კი მოკლებულნი ვართ. ამიტომ, იმულებულნი ვხდებით ჯერჯერობით დაეკმაყოფილდეთ ჩვენ ხელთარსებული 22 მამაკაცისა და 25 ქალის გვიანი ბრინჯაოს ხანის მეორე ეტაპის მასალებით საქართველოს ტერიტორიიდან (იხ. ცხრ. 8) და შეუდარებლად მეტად გავზარდოთ ექსტრაპოლაციის მასშტაბი როგორც სივრცეში, ასევე დროში.

მთლიანად, საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული გვიანბრინჯაოს ხანის მეორე ეტაპის კრანიოლოგიური მასალები საშუალებას გვაძლევენ წარმოდგენა შევიქმნათ ამ დროის მოსახლეობის ფიზიკურ ტიპზე (იხ. ცხრ: 9/1, 9/2, 9/3; 9/4).

მამაკაცების თავის ქალებისათვის დამახასიათებელია: ძალ-

გვიანბრინჯაოს ხანის 11 ეტაპის მასალები საქართველოს ტერიტორიიდან

რეგიონები	პუნქტები.	მ	ღ	მ+ღ	სულ რეგონებში		
					მ	ღ	მ+ღ
თბილისის	თრელი	8	7	15	8	7	15
მცხეთის	სამთავრო	9	8	17	—	—	—
	წეროვანი	2	1	3	11	9	20
სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს	ალგეთის ხეობა	—	5	5	—	6	6
	დმანსი	—	1	1	—	—	—
სამხრეთ საქართველოს	ასპინძა (ზევლა)	—	1	1	—	1	1
კახეთის	თეთრი წყლები	1	1	2	—	—	—
	ვერონა	2	1	3	3	2	5
ს უ ლ საქართველოს ტერიტორიიდან		—	—	—	22	25	47

ზე დიდი გრძივი და საშუალოზე მცირე განივი დიამეტრები, ქალას მაჩვენებელი ძალზე დაბალია. ყურთაშუა სიგანე მცირე. ქალას სიმაღლე ბაზიონ-ბრეგმა საშუალოზე მეტი, პორიონ-ბრეგმა საშუალო. ქალას გარშემოწერილობა და ჰაგიტალური რკალი საშუალოზე მეტი, ხოლო განივი რკალი საშუალო. შუბლი საშუალო სიგრძისა და საშუალოზე ფართო. ქალას ფუძე გრძელი. კეფის ძვალი საშუალო სიგრძისა და სიგანის, მისი ზედა ნაწილი სწორი. თხემი საშუალოზე გრძელი. ყვრიმალთაშუა დიამეტრი და სახის შუა სიგანე საშუალოზე მცირე, ხოლო სახის ზედა სიგანე საშუალოზე მეტი; სახე საშუალოზე მაღალი; სახის ზედა პორიზონტული კუთხე საშუალოზე დაბალი, ხოლო შუა პორიზონტული კუთხე ძალზე დაბალი. ცხვირი საშუალო სიგანისა და საშუალო სიმაღლის; ცხვირის უნაგარი მაღალი; ცხვირის ძვლების კუთხე პროფილის ხაზთან საშუალოზე მეტი. თვალბუდეები საშუალო სიმაღლისა და სიგანის.

ამავე სერიის ქალების თავის ქალებისათვის დამახასიათებელია ძალზე დიდი გრძივი და ზომიერი განივი დიამეტრები, ქალას მაჩვენებელი საშუალოზე დაბალი, ყურთაშუა სიგანე საშუალოზე მცირე. ქალასარქველი მაღალი; პორიზონტული გარშემოწერილობა და განივი რკალი საშუალოზე მეტი, ხოლო გრძივი რკალი დიდი. შუბლი საშუალოზე გრძელი და საშუალოზე ფართო; შუბლ-

განივი მაჩვენებელი საშუალოზე მეტი. ქალას ფუძე საშუალოზე გრძელი. კეფის ძვალი საშუალო სიგრძისა და სიგანის; კეფის ძვლის ზედა ნაწილი სწორი. თხემის ძვალი გრძელი. სახე საშუალო სიგანისა და სიმაღლის, ზედა ჰორიზონტული კუთხე საშუალოზე მცირე. ხოლო შუა ჰორიზონტული კუთხე მცირე. ვერტიკალურ პროექციაში სახე სწორი. ცხვირი საშუალოზე ფართო და საშუალოზე დაბალი; ცხვირის უნაგირი მაღალი, ცხვირის ძვლების კუთხე პროფილის ხაზთან დიდი, თვალბუდის სიგანე საშუალო, ხოლო სიმაღლე საშუალოზე მცირე.

საერთოდ, როგორც ჩანს, გვიანი ბრინჯაოს ხანის მეორე ეტაპის მოსახლეობა საქართველოში ხასიათდებოდა: ქალას დიდი გრძივი და ზომიერი განივი დიამეტრებით, რის გამო ქალას ფორმა დოლაქოკრანული იყო; ქალასარქველი მაღალი, გარშემოწერილობა საშუალოზე მეტი, შუბლი საშუალოზე ფართო. ქალას ფუძე გრძელი, კეფის ზედა ნაწილი სწორი, თხემის ძვალი გრძელი, ყვრიმალთაშუა დიამეტრი საშუალოზე მცირე, სახე ჰორიზონტულ პროექციაში მკვეთრად პროფილირებული, ცხვირის უნაგირი მაღალი, ხოლო ცხვირის ძვლების კუთხე პროფილის ხაზთან დიდი. ცალკეულ სერიებში შეინიშნება მცირეოდენი თავისებურებები, მაგალითად (იხ. ცხრ. 15/1, 15/2, 15/3, 15/4):

თ რ ე ლ ი ს სერიის მამაკაცების თავის ქალები გამოირჩევიან ქალასარქველის სიმაღლის მცირე ზომებით და გარშემოწერილობის საშუალო სიდიდით. ამავე სერიის ქალებისათვის, აგრეთვე, ქალასარქველის სიმაღლის საშუალოზე მცირე სიდიდეა დამახასიათებელი. გარდა ამისა, მათ კეფის ზედა ნაწილის დაქანებული ფორმაც გამოარჩევს სხვებისაგან.

ს ა მ თ ა ვ რ ო ს სერიისათვისაც ქალასარქველის სიმაღლის ასეთივე მცირე სიდიდეებია დამახასიათებელი, როგორც თრელის კრანოლოგიური სერისათვის, თუ ამას დავუმატებთ

წ ე რ ო ვ ა ნ შ ი მოპოვებული 1 თავის ქალასარქველის სიმაღლის მცირე სიდიდეს, შეგვექმნება შთაბეჭდილება, რომ ქალასარქველის სიმაღლის მცირე ზომები ამ მიკრო რეგიონის თავის ქალებისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს.

სამწუხაროდ, მასალების ფრაგმენტულობის გამო, არ მოხერხდა ჩვენთვის საინტერესო ნიშნების აღება თავის ქალებზე, რომლებიც მოპოვებულნი არიან დ შ ა ნ ი ს ი ს , ა ს პ ი ნ ძ ი ს ა და კ ა ხ ე თ ი ს რეგიონებში.

ამრიგად, ცალკეულ რეგიონებში ყურადღებას იპყრობს მხოლოდ სამთავროს, წეროვანისა და დიღმის სერიებზე დადასტურე-

ბული ქალასარქველის სიმაღლის შედარებით მცირე ზომები. სხვა მხრივ ნიშნების უდიდესი უმრავლესობა უახლოეს მორფოლოგიურ მსგავსებას ამჟღავნებს ყველა შესწავლილ რეგიონალურ სერიებს შორის. მთლიანად გვიანი ბრინჯაოს ხანის მეორე ეტაპის კრანიოლოგიური მასალა საფუძველს იძლევა ამ პერიოდის მოსახლეობა მიჯაჭოვნილი იმავე მედიტერანული რასის კავკასიურ ნაირსახეობას, რომელსაც ეკუთვნიან საქართველოს წინამორბედი ხანის პალეოანთროპოლოგიური ტიპები. აქვე საშუალება გვაქვს ერთმანეთს დავუპირისპიროთ გვიანი ბრინჯაოს ხანის პირველი და მეორე ეტაპის კრანიოლოგიური სერიები, რაც საშუალებას გვაძლევს შევნიშნოთ მათ შორის არსებული მცირეოდენი განსხვავებები. მეორე ეტაპის თავის ქალებს, როგორც ჩანს, ახასიათებს შედარებით მაღალი ქალას მაჩვენებელი, საშუალოზე ფართო და შედარებით დაქანებული შუბლი და შედარებით დაბალი ცხვირი. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიაც მორფოლოგიური მსგავსება ამ ორ ქრონოლოგიურ სერიას შორის სრულიად უდავოა, რაც თავისთავად იძლევა მათი ტიპოლოგიური ერთიანობის შესახებ მსჯელობის საფუძველს.

მონაცემები საქართველოს ანთროპოლოგიისათვის ბრინჯაოდან
რკინაზე გარდამავალ ხანაში

ჩვენი კვლევის პერიოდს საკუთრივ ბრინჯაოს ხანა წარმოადგენს, მაგრამ, იმისათვის, რომ წარმოგვედგინა, თუ როგორი იყო ის ანთროპოლოგიური ტიპები, რომლებიც ეპოქალურად წინ უსწრებდნენ ბრინჯაოს ხანის მოსახლეობას, ვცადეთ თვალი გადაგვევლო ენეოლითური ხანის მოსახლეობისათვის, თუ კერძოდ საქართველოში არა, ყოველ შემთხვევაში, კავკასიაში და მიმდებარე რეგიონებში მაინც. ამჟამად, ჩვენ ასევე გვაინტერესებს მოსახლეობის ფიზიკური ტიპის თავისებურებანი იმ დროს, როდესაც ფაქტიურად დასრულდა ის დიდი პერიოდი, რომელსაც ბრინჯაოს ხანას უწოდებენ. ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალ ხანას ხშირად, ადრეული რკინის ხანასაც უწოდებენ და ის ქრონოლოგიურად ემთხვევა ძვ. წ. აღ. მეორე და პირველი ათასწლეულების მიჯნას. დროის სწორედ ეს მონაკვეთი წარმოადგენს ჩვენი დაკვირვების საგანს ამჟამად.

ამ პერიოდის პალეოანთროპოლოგიური მასალები ქერჯერობით, ძირითადად, ისევ სამთავროს სამაროვნიდან არის წარმოდ-

გენილი (აბდუშელიშვილი, 1954). რომლებსაც აშეამად დაემატა მხოლოდ: 1 მამაკაცის თავის ქალა ნარეკვაიდან (ნ. კილაძის მიერ გაზოპილი), დიღმის არქეოლოგიური ექსპედიციის მერ (არქეოლოგი რ. აბრაშიშვილი) მოპოვებული 7 თავის ქალა და 1 თავის ქალა კახეთიდან (არქეოლოგი კ. ფიცხელაური). ამრიგად, ჩვენს განკარგულებაში დღეს მამაკაცის 17 და ქალის 12 თავის ქალაა (იხ. ცხრ. 10). გარდა ამისა, სომხეთის ტერიტორიაზე მოპოვებული ამავე პერიოდის მამაკაცის 9 თავის ქალას ანაზომები (აკუნკის კრანოლოგიური სერია — გაზომილია დ. ნ. ჭავჭავაძის მიერ) და მეტად საინტერესო სერია სევანის მიდამოებიდან. ოდეს-ღაც, თავის ქალები სევანის მიდამოებიდან შეისწავლა ე. ბუნაკმა (1929). მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილი იყო იმ სერიისა, რომელიც თავის დროზე მოიპოვა ე. ლალაიანმა (1929). მეორე ნაწილი ამ

ცხრილი 10

ბრინჯაოდან ჩვენზე გარდამავალი ხანის მასალები საქართველოს ტერიტორიიდან

რეგიონები	პუნქტები	მ	ღ	მ+ღ	სულ რეგიონებში		
					მ	ღ	მ+ღ
თბილისის.	თრელი თელოვანი	4	2	6	—	—	—
მცხეთის	სამთაერო ნარეკვაი	—	1	1	4	3	7
		12	8	20	—	—	—
კახეთის	გულგულა	1	—	1	13	8	21
		—	1	1	—	1	1
ს უ ლ საქართველოს ტერიტორიიდან		—	—	—	17	12	29

ცხრილი 11

ბრინჯაოდან ჩვენზე გარდამავალი ხანის მასალები კავკასიის დანარჩენი ტერიტორიიდან

სომხეთის	სევანი	42	23	65	51	23	74
	აკუნკი	9	—	9	—	—	—
ს უ ლ კავკასიის ტერიტორიიდან		—	—	—	68	35	103

სერიისა გაზომა ჩვენმა თანამშრომელმა დ. ჯავახიშვილმა. ამჟამად სეჯანის კრანოლოგიური სერია 74 თავის ქალას ითვლის და წინამდებარე წიგნში წარმოდგენილი მონაცემები სეჯანის კრანოლოგიური სერიის შესახებ ყველაზე მრავალრიცხოვან და სრულ ინფორმაციას შეიცავენ ამ უაღრესად საინტერესო სერიის შესახებ. ამ გაერთიანებული სერიის დამუშავების შედეგად მიღებული მონაცემები ქვეყნდება პირველად.

საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი ხანის თავის ქალები საშუალებას გვაძლევენ ზოგადი დახასიათება მივცეთ ამ პერიოდის მოსახლეობას. მამაკაცების თავის ქალებისათვის დამახასიათებელია (იხ. ცხრ. 11/1, 11/2, 11/3, 11/4): დიდი გრძივი და ზომიერი განივი დიამეტრები, ქალას მაჩვენებელი საშუალოზე დაბალია, ყურთაშუა სიგანე საშუალოზე მცირე; ქალასარქველის სიმაღლე საშუალო. ქალას გარშემოწერილობა და საგიტალური რკალი დიდი, ხოლო განივი რკალი საშუალოზე მეტი. შუბლის ძვალი საშუალო სიმაღლისა და სიგრძის. ქალას ფუფე გრძელი. კეფის ძვალი საშუალოზე გრძელი და საშუალო სიგანის; მისი ზედა ნაწილი სწორი. თხემის ძვალი საშუალოზე გრძელი. ყვრიმალთაშუა დიამეტრი და სახის შუა სიგანე საშუალოზე მცირე; სახის ზედა სიგანე და სახის ზედა სიმაღლე საშუალო; სახე პორიზონტულ პროექციაში მკვეთრად პროფილირებული, ვერტიკალურში — სწორი. ცხვირი საშუალო სიგანისა და სიმაღლის; ცხვირის უნაგირი მაღალი; ცხვირის ძვლების კუთხე პროფილის ხაზთან დიდი. თვალბუდე საშუალო სიგანისა და საშუალოზე დაბალი. ამავე სერიის ქალები ხასიათდებიან: საშუალოზე დიდი გრძივი და საშუალოზე ფართო განივი დიამეტრებით, ქალას მაჩვენებელი დაბალია. ყურთაშუა სიგანე მცირე. ქალასარქველის სიმაღლე საშუალოზე მეტი. პორიზონტული გარშემოწერილობა, საგიტალური რკალი და განივი რკალი საშუალოზე მეტი. შუბლი საშუალოზე გრძელი და საშუალოზე ფართო. კეფა საშუალო სიგრძისა და სიგანის; კეფის ზედა ნაწილი სწორი. თხემის ძვალი საშუალოზე გრძელი, ყვრიმალთაშუა დიამეტრი და სახის შუა სიგანე საშუალოზე მცირე, ხოლო სახის ზედა სიგანე და სიმაღლე საშუალო ზომის; სახე პორიზონტულ პროექციაში მკვეთრად პროფილირებული, ვერტიკალურში სწორი. ცხვირი საშუალოზე ვიწრო და საშუალო სიმაღლის; ცხვირის უნაგირი მაღალი; ცხვირის ძვლების კუთხე პროფილის ხაზთან სა-

შეალოზე მეტი, თვალბუდის სიგანე და სიმაღლე საშუალო ზომის.

საერთოდ ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი ხანის მოსახლეობა საქართველოში, როგორც ჩანს, ხასიათდებოდა: საშუალოზე დიდი გრძივი და საშუალო ზომის განივი დიამეტრებით, ქალას დოლიქოკრანული მაჩვენებლით, მცირე ყურთაშუა სიგანით, მაღალი ქალასარქველით, საშუალოზე გრძელი და საშუალოზე ფართო შუბლით, კეფის ზედა ნაწილის დიდი კუთხით, თხემის გრძელი ძვლით; ვიწრო, საშუალო სიმაღლის, მკვეთრად პროფილირებული და სწორი სახით, საშუალო სიმაღლისა და სიგანის ცხვირით; ცხვირას მაღალი უნაგირით; ცხვირის ძვლების დიდი კუთხით პროფილის ხაზთან, საშუალო სიმაღლისა და სიგანის თვალბუდეებით და სხვ. ძნელი არ არის იმის შენიშვნა, რომ ამ შემთხვევაშიაც ნიშნების იგივე კომპლექსთან გვაქვს საქმე, რომელიც დამახასიათებელი იყო საქართველოს წინამორბედი ხანის თავის ქალებსათვის. ეჭვი არ არის, რომ საქართველოს ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი ხანის მოსახლეობა ეკუთვნოდა ხმელთაშუაზღვისპირული რასის კავკასიურ ნაირსახეობას.

ორიოდე სიტყვა იმ თავისებურებების შესახებ, რომელსაც ამჟღავნებენ ცალკეული რეგიონალური სერიების თავის ქალები (იხ. ცხრ. 16/1, 16/2, 16/3, 16/4, 16/5, 16/6).

თ რ ე ლ შ ი მოპოვებული მამაკაცების თავის ქალები არ ამჟღავნებენ რაიმე თავისებურების ნიშანს, მხოლოდ ქალების თავის ქალებზე შეინიშნება კეფის ზედა ნაწილის ძალიან მცირე კუთხე.

თ ე ლ ო ვ ა ნ შ ი მოპოვებული ქალის თავის ქალა ძალიან ვიწრო სახით ხასიათდება.

ს ა მ თ ა ვ რ ო ს კრანიოლოგიურ სერიაზე არც ქალებისა და არც მამაკაცების სერიაში არ შეინიშნება რაიმე თავისებურებების კვალი ისევე, როგორც

გ უ ლ გ უ ლ ა შ ი მოპოვებული ქალის 1 თავის ქალაზე, რაც შეეხება . . .

ნ ა რ ე კ ვ ა ვ შ ი აღმოჩენილ მამაკაცის 1 თავის ქალას, ის დანარჩენი ჩვენს მიერ შესწავლილი თავის ქალებისაგან გამოირჩევა შუბლის სიგანის მცირე სიდიდეებით.

ამრიგად, ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალ ხანაში საქართველოს, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობაში, არ შეინიშნება ლოკალური ხასიათის თავისებურებები და, საერთოდ, ამ პერიოდის მოსახლეობა სრულიად

უდავოდ უწყვეტ გენეტიკურ კავშირში იმყოფებოდა წინამორბედი ხანის მოსახლეობასთან.

ასეთია საქართველოს ტერიტორიაზე ენოლითიდან ბრინჯაოს ხანის დასასრულამდე მოსახლე ადამიანების ფიზიკური ტიპის თავისებურებები. ქართველი ხალხის ანთროპოლოგიური ისტორიისათვის გარკვეული მნიშვნელობის მქონე ეს მორფოლოგიური თავისებურებები რამდენიმე დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევენ: საქართველოს მოსახლეობა ადრებრინჯაოს, შუაბრინჯაოს, გვიანბრინჯაოს პირველი ეტაპის, გვიანბრინჯაოს მეორე ეტაპისა და ბრინჯაოდან რკინაზე გარდასვალა პერიოდის განმავლობაში ეკუთვნოდა მედიტერანული ანუ ხმელთაშუაზღვისპირული რასის კავკასიურ ნაირსახეობას.

ცალკეულ ქრონოლოგიურ სერიებს შორის ამდენად დიდია ტიპოლოგიური მსგავსება და იმდენად უმნიშვნელო მორფოლოგიური განსხვავება, რომ ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ ცალკეულ ქრონოლოგიურ პერიოდებს შორის მოსახლეობის უწყვეტი გენეტიკური მემკვიდრეობა.

ცალკეულ ტერიტორიულ სერიებს შორის მცირეოდენი მორფოლოგიური განსხვავებები მასალის სიმცირით უნდა აიხსნას, რის გამო ზოგიერთ შემთხვევაში თავს იჩენს ინდივიდუალური და არა ტიპოლოგიური თავისებურებები, ხოლო რეგიონალური სერიების შვეთრად გამოხატული ტიპოლოგიური ერთიანობა უდავო მაჩვენებელია იმისა, რომ მოსახლეობა მთელი ამ ხნის განმავლობაში გენეტიკურად ერთიანი იყო და მორფოლოგიურად არადიფერენცირებული.

ჩვენი აზრით, ეს არის ის ძირითადი საკითხები, რომლებიც სადღეისოდ უკვე გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს. არის, ცხადია, მრავალი ისეთი საკითხი, რომლებიც დღესდღეობით ღიად რჩებიან. სრულიად ცალკე წრეს ქმნიან ის საკითხები, რომლებიც ცალკეული სერიების შესწავლის დროს იჩენენ თავს მკვლევარის წინაშე. შათ მასალების მომავალი დაგროვება მოჰყენს მეტ შუქს.

რჩება საკითხების ყველაზე უფრო დიდი წრე. ეს არის საქართველოს ტერიტორიაზე დადგენილი ანთროპოლოგიური ტიპების დამოკიდებულება მიმდებარე რეგიონების სინქრონულ ანთროპოლოგიურ ტიპებთან; მაგრამ ამის შესახებ მომდევნო თავში იქნება საუბარი.

უპირველეს ყოვლისა, კავკასიის დანარჩენი რეგიონების მოსახლეობის შესახებ.

კავკასიის მოსახლეობა ბრინჯაოს ხანაში

მონაცემები ამიერკავკასიის ანთროპოლოგიისათვის ბრინჯაოს ხანაში

ს ო მ ხ ე თ ი

მიუხედავად იმისა, რომ არქეოლოგიური გათხრების შედეგად სომხეთში ერთიორად მეტი დაგროვდა ბრინჯაოს ხანის პალეოანთროპოლოგიური მასალები, ვიდრე საქართველოში, სომხეთის ტერიტორია მაინც არასაკმარისად არის შესწავლილი და ჩვენ, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, ზოგ შემთხვევაში გვჭირდება მასალების ექსტრაპოლაცია შეუსწავლელ ტერიტორიაზე და დროის შესწავლელ მონაკვეთებზე. მასალები, რომლებიც ამჟამად ჩვენს განქარგულებაშია, წარმოდგენილია თანდართულ ცხრილში (იხ. ცხრ. 14/2, 14/4, 16/2, 16/4) როგორც ვხედავთ, მასალები მცირეა, განსაკუთრებით უძველესი პერიოდებისათვის, ამიტომ თითოეული სერიის, უფრო მეტი, თითოეული თავის ქალას აღწერისა და შეფასებისას მთელი მასალა უნდა ვიქონიოთ მხედველობაში არა მარტო სომხეთის, არამედ სხვა თომიჯნავე, პირველ რიგში კი საქართველოს ტერიტორიიდან. სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა სომხეთის ტერიტორიაზე მოპოვებული ბრინჯაოს ხანის ყველა პალეოანთროპოლოგიური სერიის პერიოდებად დაყოფა, რადგანაც მასალების უმრავლესობა დათარიღებულია საერთოდ ბრინჯაოს ხანით და ჩვენთვის ამჟამად შეუძლებელია გარკვევა იმისა, თუ, სახელდობრ, ბრინჯაოს ხანის რომელ პერიოდს მიეკუთვნებიან არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული თავის ქალები. ეს, ცხადია, ამ მასალების ძალზე დასანანი ხარვეზია, მაგრამ ჩვენ ამის მოსავლელად გაეაერთიანეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ბრინჯაოს ხანის ცალკეული პერიოდები ერთ სერიად. ამან კი საქართველოსა და სომხეთის პალეოანთროპოლოგიური მასალების უშუალო დაპირისპირების საშუალება მოგვცა, რაც ჩვენთვის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს.

მასალების ქვემოთ მოტანილ აღწერაში შეძლებისდაგვარად შევეცდებით დავიცვათ სერიების ქრონოლოგიური თანამიმდევრობა და ბოლოს. თუ ეს მეცნიერულად გამართლებული იქნება, შევავერთოთ (ყოველ შემთხვევაში ზოგიერთი მათგანი მაინც) ისინი ერთი მთლიანი სერიის სახით, სომხეთის ბრინჯაოს ხანის პალეონთოპოლოგიურა სერიის სახელწოდებით.

თავდაპირველად სომხეთის ტერიტორიაზე მოპოვებული ცალკეული რეგიონალური სერიების ანთროპოლოგიური თავისებურებების შესახებ.

შენგავითის კრანიოლოგიური სერია, რომელიც უძველესია სომხეთის ტერიტორიაზე მოპოვებული ბრინჯაოს ხანის სერიებს შორის (უფრო სწორად ეს სერია დათარიღებულია ენეოლითის ზედა ფენით და ადრეული ბრინჯაოს ხანის მეოთხე ფენით) შედგება 4 მამაკაცისა და 1 ქალის თავის ქალებისაგან. მათთვის დამახასიათებელია: ქალას ძალზე დიდი გრძივი და საშუალოზე მეტი განივი დიამეტრები, ქალას დაბალი მაჩვენებელი. საშუალო სიმაღლის ქალასარქველი, ქალას გარშემოწერილობა ძალზე დიდი, ძალზე დიდი საგიტალური რკალი, დიდი განივი რკალი, შუბლი ფართო, გრძელი და მკვეთრად მოდრეკილი, ზომიერად დაქანებული ვერტიკალურ პროფილში, თხემი გრძელი და მკვეთრად მოდრეკილი, კეფა განიერი, გრძელი და ძალზე მკვეთრად მოდრეკილი. სახე საშუალო სიმაღლის, სახის სიგანე მამაკაცების სერიაში ყვრიმალთაშუა დიამეტრის მიხედვით საშუალო, სახის ზედა სიგანის მიხედვით დიდი, შუა სიგანის მიხედვით საშუალო. ქალების სერიაში სახის სიგანე დიდია, ხოლო სახის ზედა სიგანე ძალზე დიდი. სახის პორიზონტული პროფილი მკვეთრი (მაგრამ არა მაქსიმალურად მკვეთრი). ვერტიკალურ პროექციაში სწორი, ცხვირი მაღალი და საშუალო სიგანის, მკვეთრად გამოხატული; ცხვირის უნაგირი მაღალი, თვალბუდეები საშუალოზე ფართო და საშუალო სიმაღლის. ალვეოლური რკალი ძალზე გრძელი და ძალზე ფართო. სასა გრძელი და საშუალო სიგანის.

ნორბაიაზე თიდან არის ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის¹ მამაკაცის მეტისმეტად ფრაგმენტული თავის ქალა, რომელიც ხასიათდება: მაღალი და საშუალო სიგანის ცხვირით

¹ კრანიომეტრული მონაცემები სომხეთის მასალების შესახებ გამოქვეყნებულია: ალექსევეის (1963a, 1965b), აზიზიანის (1965), ბუბუზიანის (1972), ალექსევეის (1974) და სხვ. მიერ. მაგრამ ჩვენ პუბლიკაციაში გამოყენებულია ჩვენი თანამშრომლის დ. ქავახიშვილის მონაცემები. რომელმაც 1959 წელს ერევნისა და მოსკოვის კრანიოლოგიურ ფონდებში კრანიომეტრულად შეისწავლა სომხეთის ბრინჯაოს ხანის რამდენიმე პალეონთოპოლოგიური სერია.

და საშუალო სიმაღლისა და ვიწრო თვალბუდეებით. სამწუხაროდ, ამ თავის ქალაზე სხვა ნიშნებს გაზომვა არ მოხერხდა.

ც ა მ ა კ ა ბ ე რ დ ი ს კ რ ა ნ ი ო ლ ო გ ი უ რ ი ს ე რ ი ა, რომელიც შუაბრინჯაოს ხანას უნდა ეკუთვნოდეს, შედგება 6 მამაკაცის თავის ქალააგან. ისინი ხასიათდებიან; ძალზე დიდი გრძივი და საშუალო ზომის განივი დიამეტრებით. ქალას მაჩვენებელი დაბალია, ქალასარქველის სიმაღლე საშუალოზე მეტი. ქალას გარშემოწერილობა და განივი რკალი ძალზე დიდი, საგიტალური რკალი დიდი, შუბლი ფართო, საშუალო სიგრძის და დაქანებული, თხემი საშუალო სიგრძის, კეფა ძალზე გრძელი, სახე საშუალოზე მაღალი და ყვრიმალთაშუა დიამეტრის მიხედვით საშუალოზე ფართო, ვერტიკალურ პროექციაში სწორი, ცხვირი მაღალი და ვიწრო, ძალზე მკვეთრად გამოჩატული, თვალბუდეები ფართო და საშუალოზე დაბალი.

ა რ ტ ი კ ი ს კ რ ა ნ ი ო ლ ო გ ი უ რ ი ს ე რ ი ა, რომელიც საერთოდ ბრინჯაოს ხანით არის დათარიღებული, ხასიათდება; ქალას დიდი გრძივი და საშუალოზე მცირე განივი დიამეტრებით, ქალას მაჩვენებელი დაბალია, ქალასარქველის სიმაღლე მცირე, ქალას გარშემოწერილობა და საგიტალური რკალი საშუალო ზომისაა, ხოლო განივი რკალი საშუალოზე მცირეც კი; შუბლი ფართო, საშუალო სიგრძისა და მკვეთრად გამოდრეკილი; თხემი საშუალო სიგრძისა და მკვეთრად მოდრეკილი, კეფა გრძელი და ზომიერად მოდრეკილი. სახე მაღალი, ყვრიმალთაშუა დიამეტრის მიხედვით ფართო, სახის ზემო სიგანის მიხედვით საშუალო, ხოლო შუა სიგანის მიხედვით საშუალოზე ვიწრო; პორიზონტული პროფილირება ძალზე მკვეთრი, ვერტიკალური პროფილი სწორი; ცხვირი საშუალო სიმაღლისა და სიგანის, ცხვირის უნაგირი საშუალოზე მაღალი, თვალბუდეები საშუალო სიგანის და სიმაღლის, ალვეოლური რკალი გრძელი და საშუალო სიგანის, საბა საშუალო სიგანისა და სიგრძის.

ლ კ ა შ ე ნ ი ს პ ა ლ ე ა ნ თ რ ო პ ო ლ ო გ ი უ რ ი ს ე რ ი ა ერთ-ერთი ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი სერიაა, არა მარტო სომხეთში მოპოვებულ, არამედ საერთოდ კავკასიაში მოპოვებულ პალეოანთროპოლოგიურ სერიებს შორისაც კი. ამიტომ ეს სერია განსაკუთრებულ ნდობას იმსახურებს. მასზე წარმოდგენილი საშუალო სიმაღლეები ნაკლებად ასახავენ ინდივიდუალურ ნაირსახეობებს და ამდენად, ძალზე უახლოვდებიან სომხეთის ტერიტორიის იმდროინდელი მოსახლეობის ყველაზე მეტად დამახასიათებელ გენერალურ ტიპს. ამავე დროს დაკვირვებათა საკმარისი რიცხვი მიღე-

ბუნებრივ პარამეტრებზე სტატისტიკური მანიპულაციის წარმოების საშუალებას იძლევა. ლქაშენის კრანოლოგიური სერია ხასიათდება: ქალას დიდი გრძელი და ზომიერი განივი დიაპეტრებით; ქალასარქველი საშუალოზე ოდნავ მაღალია, ქალას ტოტალური რკალები დიდი, შუბლი ფართო, საშუალო სიგრძისა და ზომიერად მოდრეკილი, ვერტიკალურ პროექციაში ზომიერად დაქანებული; თხემი საშუალოზე ოდნავ გრძელი და თალისებური ფორმის. კეფის ძვალი გრძელი და მკვეთრად მოდრეკილი; სახე საშუალო სიმალლის და ყვრიმალთაშუა დიაპეტრის მიხედვით საშუალო სიგანის, სახის ზემო სიგანის მიხედვით ფართო, ხოლო შუა სიგანის მიხედვით საშუალო ან საშუალოზე ვიწრო; სახის ზემო კუთხე მკირე, ხოლო შუა კუთხე ძალზე მკირე; ვერტიკალურ პროექციაში სახე სწორი; ცხვირი საშუალო სიმალლისა და სიგანის, ცხვირის უნაგირი ძალზე მაღალი, თვალბუდეები საშუალო სიმალლისა და სიგანის; ალვეოლური რკალი ძალზე გრძელი და საშუალო სიგანის, ხოლო სასა საშუალო სიგრძისა და სიგანის. ნიშნებს ეს კომპლექსი ჩვენ არაერთგზის შეგვხვდა საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ბრინჯაოს ხანის მასალების მიმოხილვისას. ამ მსგავსების შესახებ ჩვენ ქვემოთაც გვექნება საუბარი, აქ კი მხოლოდ ის გვინდა შევნიშნოთ, რომ რიცხობრივად სრულიად სარწმუნო ლქაშენის სერია ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩვენ მიერ საქართველოს ტერიტორიაზე აღწერილი მედიტერანული რასის კავკასიურ სპეციფიურობას.

სომხეთის ტერიტორიიდან კიდევ ერთ სერიაზე უნდა შევაჩეროთ ყურადღება. ეს არის გ. დებეცის მიერ „სსრკ პალეოანთროპოლოგიაში“ (დებეცი, 1948) გამოქვეყნებული სევანის მიდამოებში მოპოვებული სერია, რომელსაც ავტორი ბრინჯაოს ხანას აკუთვნებს. სევანის მიდამოებში მრავალი პალეოანთროპოლოგიური სერიაა აღმოჩენილი; უმდიდრესი კოლექცია ერ. ლალიანის მიერ იყო მოპოვებული (ლალიანი, 1929); ნაწილი ამ თავის ქალებისა ვ. ბუნაკმა (ბუნაკი, 1929) აღწერა და მათ რკინის პერიოდის თავის ქალები უწოდა. მეორე ნაწილი თავის ქალებისა დღემდე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. ჩვენთვის ამჟამად ძნელია იმაში გარკვევა, თუ გ. დებეცს სახელდობრ რა მასალები ჰქონდა სევანის მიდამოებიდან, მაგრამ ეს თავის ქალები კიდევ უფრო გვიან პერიოდს რომ ეკუთვნოდნენ, სომხეთის პალეოანთროპოლოგიური სერიების ქრონოლოგიური თანაქიმდევრობა ამით მაინც არ დაირღვევა და ჩვენთვის ამჟამად კი ეს არის მთავარი.

სევიანის კრანოლოგიური სერია ხასიათდება: ქალას ძალზე დიდი გრძივი და საშუალო განივი დიამეტრებით, ქალას მაჩვენებელი დაბალია, და ქალასარქველი საშუალოზე მაღალი, შუბლი ფართო და ოდნავ დაქანებული, სახე საშუალოზე მაღალი და საშუალო სიგანის, პორიზონტულ პროექციაში ძალზე მკვეთრად პროფილირებული, ვერტიკალურ პროექციაში სწორი; ცხვირი საშუალო სიმაღლისა და სიგანის, ძალზე მკვეთრად წარზიდული, ცხვირის უნაგირი ძალზე მაღალი, თვალბუდეები საშუალო სიგანის და სიმაღლის, ალვეოლური რკალი ძალზე გრძელი და საშუალო სიგანის, სასა გრძელი და ზომიერად განიერი.

ამრიგად, სომხეთის ბრინჯაოს ხანის კრანოლოგიური მასალების განხილვამ საშუალება მოგვცა ზოგადი წარმოდგენა შეგვექმნა ამ რეგიონის მოსახლეობის ანთროპოლოგიურ თავისებურებებზე. როგორც ვნახეთ, ყველა ამ სერიისათვის დამახასიათებელია: დიდი გრძივი და საშუალო ზომის განივი დიამეტრები, ქალას დაბალი მაჩვენებელი, საშუალო ან საშუალოზე ოდნავ მაღალი ქალასარქველი, ქალას დიდი გარშემოწერილობა, განივი და სეგიტალური დიამეტრები დიდი; შუბლი ფართო, საშუალო სიგრძის, ზომიერად დაქანებული; თხემის ძვალი საშუალო სიგრძის და მკვეთრად მოდრეკილი, კეფის ძვალი გრძელი და მკვეთრად მოდრეკილი; სახე დაბალი, ყვრიმალთაშუა დიამეტრის მიხედვით საშუალო სიგანის, სახის ზემო სიგანის მიხედვით საშუალო ან საშუალოზე ოდნავ განიერი, სახის შუა ნაწილის მიხედვით ვიწრო; ვერტიკალურ პროექციაში სწორი, ცხვირი საშუალო სიმაღლის, ან საშუალოზე მაღალი და საშუალო სიგანის, მკვეთრად წინ წარზიდული, მაღალი ცხვირის უნაგირით, თვალბუდეები საშუალო სიმაღლის და საშუალო სიგანის, ალვეოლური რკალი ძალიან გრძელი და საშუალო სიგანის, სასა საშუალოზე ოდნავ გრძელი და საშუალო სიგანის.

როგორც მოხალოდნელი იყო, ამ შემთხვევაშიაც, ცალკეული რეგიონების სერიები რიცხვმცირეობის გამო მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ყველაზე მეტი განმასხვავებელი ნიშნები ამ მხრივ არტიკის თავის ქალებს ახასიათებს. ამ სერიაში თავის განივი დიამეტრი მცირეა, მცირეა აგრეთვე ქალასარქველის სიმაღლე და ქალას ტოტალური ზომებიც: შუბლი სწორია, ხოლო სახე ყვრიმალთაშუა დიამეტრის მიხედვით ფართო, ცამაკაბერდის კრანოლოგიურ სერიაში სახე ყვრიმალთაშუა დიამეტრის მიხედვით ფართოა, გარდა ამისა, თვალბუდეები ძალიან განიერი. შენგავითის თავის ქალებს კი შუბლის და თხემის ძვლების ძალიან

დიდი სიგრძე და აგრეთვე ალვეოლური რკალის დიდი სიგანე განასხვავებს; მაგრამ, ჩვენი აზრით, ტიპოლოგიურ განსხვავებაზე ამ შემთხვევაში მსჯელობა სრულიად მოკლებულია ნიადაგს. თავი და თავი აქ სწორედ ტიპოლოგიური მსგავსებაა, რომელიც ტაქსონომიურად მაღალი ღირებულების მქონე ნიშნების მთელ კომპლექსში ვლინდება. ამიტომ ჩვენ ვისარგებლეთ ჩვენ ხელთარსებული ინდივიდუალური მონაცემებით და სპეციალურად ერთიანი სერიის სახით დავამუშავეთ სომხეთის ტერიტორიაზე მოპოვებული ბრინჯაოს ხანის თავის ქალები (ჩვენ განკარგულებაში იყო ინდივიდუალური მონაცემები შენგავითის, ნორ-ბაიაზეთის, არტიკისა და ლქაშენის თავის ქალების შესახებ). ეს გაერთიანებული სერია სასიათღებია: ქალას დიდი გრძივი და საშუალო განივი დიამეტრებით. ქალას მაჩვენებელი დაბალია, ქალასარქველი საშუალო სიმართლის, ქალას გარშემოწერილობა, გრძივი და განივი რკალები საშუალოზე დიდი, შუბლი ფართო, საშუალო სიგრძისა და ზომიერად მოდრეკილი, ვერტიკალურ პროექციაში ზომიერად დაქანებული, თხემის ძვალი საშუალო სიგრძის და თაღისებური ფორმის, კეფის ძვალი საშუალოზე გრძელი და მკვეთრად მოდრეკილი, სახე საშუალოზე მაღალი და საშუალო სიგანის, ჰორიზონტულ პროექციაში მკვეთრად პროფილირებული, ვერტიკალურ პროექციაში სწორი, ცხვირი საშუალო სიგანისა და სიმაღლის, ძალზე მკვეთრად გამოხატული, ცხვირის უნაგირი ძალიან მაღალი, თვალბუდეები საშუალო სიმაღლისა და სიგანის, ალვეოლური რკალი ძალზე გრძელი და საშუალო სიგანის, სასა გრძელი და საშუალო სიგანის.

სომხეთის ტერიტორიაზე მოპოვებულმა ბრინჯაოს ხანის თავის ქალების გაერთიანებამ უშუალოდ მიგვიყვანა ჩვენ მიერ დასახულ უმნიშვნელოვანეს ამოცანამდე; სახელდობრ: საქართველოსა და სომხეთის ბრინჯაოს ხანის მოსახლეობის ანთროპოლოგიური მსგავსება-განსხვავების უშუალო შეფასებამდე. მათ შორის სპეციალურად დამუშავდა მორფოლოგიური დისტანციის სიდიდე. მსგავსება სრულიად უდავო აღმოჩნდა და იმდენად თვალსაჩინო, რომ მოგვცა არა მორფოლოგიური სიახლოვის, არამედ ანთროპოლოგიური იდენტურობის შესახებ მსჯელობის საშუალება. რომ სომხეთის ბრინჯაოს ხანის მოსახლეობა ტიპოლოგიურად საქართველოს ბრინჯაოს ხანის მოსახლეობასთან ძალიან ახლოს დგას, ამაში ჩვენ ჭერ კიდევ ნათი მორფოლოგიური დახასიათების დროს დავრწმუნდით. მაგრამ მონაცემების სპეციალურმა გაანგარიშებამ სრულიად თვალსაჩინოდ ცხადჰყო, რომ სომხეთისა და საქართვე-

ლს ბრინჯაოს ხანის სერიებს შორის არ არსებობს არც ერთი ანთროპოლოგიური ნიშანი, რომელიც მათ შორის თუნდაც ტიპოლოგიური ვარიანტის დაშვების უფლებას გვაძლევდეს. 64 ნიშნიდან, რომლებიც შევიდნენ ანალიზში, 40-ში განსხვავება საერთოდ არ არსებობს, 20-ში ნიშნები ერთი მეორის მეზობელ კატეგორიებში ხვდებიან და მხოლოდ ოთხ ნიშანში ექცევიან ნიშნები მეზობელი კატეგორიების გამოტოვებით. აი ეს ნიშნებიც: სახის დახრილობის მაჩვენებელი სერიებში საქართველოდან ძალიან მცირეა (რაც სახის ვერტიკალური ფორმის მაჩვენებელია), ხოლო სერიებში სომხეთიდან საშუალოა; ცხვირის სიმაღლე, პირველ შემთხვევაში საშუალოზე მეტია, მეორე შემთხვევაში საშუალოზე ნაკლები; დაკრიონული ქორდა პირველ შემთხვევაში ნაკლებია, მეორე შემთხვევაში საშუალოზე მეტი და ბოლოს, ამავე ნიშნით განპირობებული, დაკრიონული მაჩვენებელი, რომელიც პირველ შემთხვევაში ძალზე დიდია, მეორე შემთხვევაში საშუალო. ფაქტიურად ამ შემთხვევაში, მსჯელობა შეიძლება ორ ნიშანზე: ცხვირის სიმაღლეა და დაკრიონულ სიგანეზე; დანარჩენი ორი ნიშანი კი ინდექსია და ამიტომ ისინი მათი შემადგენელი ნიშნებით არიან განპირობებულნი. ამ ორი ნიშნის შესახებაც არ შეიძლება მეტიმეტად მკაცრი მსჯელობა, ვინაიდან მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს და სომხეთის კრანოლოგიური მასალები სხვადასხვა მკვლევარის მიერ არის შესწავლილი სხვადასხვა დროს და ამიტომ არ არის გამორიცხული სუბიექტური გადახრა, მით უმეტეს ისეთ ნიშნებში, სადაც განსხვავება მილიმეტრების ფარგლებში მერყეობს; ამდენად, გაოცებას ამ ორიოდ ჰარაპეტრში შენიშნული მინიმალური განსხვავება კი არ უნდა იწვევდეს, არამედ ნიშნების უდიდეს უმრავლესობაში შენიშნული მსგავსება და უფრო სწორად იდენტურობაც კი. ყოველივე ეს ერთი ზოგადი დასკვნის გამოტანის საფუძველს იძლევა: საქართველოსა და სომხეთის მოსახლეობა ბრინჯაოს ხანაში ეკუთვნოდა ერთი და იგივე სამხრეთ ევროპეიდული რასის ხმელთაშუაზღვისპირულ ტიპს და ხასიათდებოდა იდენტურობამდე მისული ანთროპოლოგიური ნიშნების უაქლოესი მსგავსებით. ეს კი იძლევა უფლებას გამოვიტანოთ მეორე ზოგადი ხასიათის დასკვნა: ბრინჯაოს ხანაში ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული ამ ორი რეგიონის მოსახლეობაში ანთროპოლოგიური ტიპების დიფერენციაციის პროცესი, რომ მსგავსება ამ შემთხვევაში პირველადია და ძირითადი, ხოლო განსხვავება მეორადი. ეს დასკვნა ჯერჯერობით ჩვენ მხოლოდ სამუშაო ჰიპოთეზის სახით მოგვყავს, ვინაიდან

სომხეთისა და საქართველოს ტერიტორიების პალეოანთროპოლოგიური კვლევა, თუნდაც დროის აღნიშნულ მონაკვეთში, ჭერაჭერობით მხოლოდ დაიწყო და ამ მხრივ შეუდარებლად მეტია შესაწავლი და საკვლევი, ვიდრე საბოლოოდ დაზუსტებული. მომავალმა კვლევა-ძიებამ შეიძლება დაადასტუროს წარმოდგენილი მოსაზრებების სისწორე და შეიძლება ნიადაგიც გამოაცალოს მას. მაგრამ ანთროპოლოგიური მსგავსება ჩვენ მიერ სადღეისოდ შესწავლილ კრანიოლოგიურ სერიებს შორის შეუძლებელია. რომ შეიცვალოს და ამიტომაც მივეცი თავს უფლება წარმოგვედგინა ეს სამუშაო ჰიპოთეზა შემდგომი კვლევის, შემოწმებისა და დაზუსტებისათვის.

ა ზ ე რ ბ ა ი ჭ ა ნ ი

საქართველოსა და სომხეთთან შედარებით აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოპოვებული კრანიოლოგიური მასალები საერთოდ შეუდარებლად უფრო მცირეა. საკუთრივ ბრინჯაოს ხანა აზერბაიჯანის ტერიტორიიდან ფაქტიურად არც კი არის წარმოდგენილი. უძველესი სერია, რომელიც დღემდე ცნობილია აზერბაიჯანის ტერიტორიიდან, ეს არის მინგეჩაურის მიდანიებში მოპოვებული 3 მამაკაცისა და 1 ქალის თავის ქალა, რომლებიც თარიღდებიან ძვ. წ. X—VIII სს. (კასიმოვა, 1960). ცხადია, ეს ბრინჯაოს ხანა არ არის. ეს ან ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი პერიოდია, ან ადრე რკინის ხანა. ამიტომ ჩვენ ამ სერიას შედარებით უფრო ვრცლად იქ შევებებით, სადაც განვიხილავთ ადრე რკინის ხანის თავის ქალებს; მაგრამ ამ შემთხვევაში საჭიროდ ვცანით მოგვეტანა ზოგადი ცნობები ამ სერიის შესახებ ორი მოსაზრებით. ერთი ის არის, რომ აზერბაიჯანი ამიერკავკასიის ერთ-ერთი უდიდესი რეგიონთაგანია და ამ რეგიონიდან თუნდაც მიახლოებითი ცნობების გარეშე ძნელია მთლიანი წარმოდგენა შევიქვანათ კავკასიისა და მით უფრო ამიერკავკასიის შესახებ. მეორე მოსაზრება ის არის, რომ ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი პერიოდი მიწურულია, ან ყოველ შემთხვევაში ქრონოლოგიურად უშუალოდ ესაზღვრება ჩვენთვის ამჟამად საინტერესო პერიოდს და რაც არ უნდა დიდი ტრანსფორმაცია განეცადა მოსახლეობას დროის ამ უმცირეს მონაკვეთში, ის მაინც ვერ შეიცვლებოდა ისე, რომ უშუალოდ წინამორბედი ხანის მოსახლეობის ანთროპოლოგიური თავისებურებები არ შემოენახა ზოგადად მაინც. ამრიგად, აზერბაი-

ჯანის პალეოანთროპოლოგიური მასალების აქ წარმოდგენილ შოკ-
ლე მიმოხილვას მხოლოდ საორიენტაციო მნიშვნელობა აქვს ამჟამად.

მ ი ნ გ ე ჩ ა უ რ ი ს, ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი პე-
რიოდის, თავის ქალები ხასიათდებიან: ქალას საშუალო გრძივი და
საშუალოზე ვიწრო განივი დიამეტრებით, ქალას მაჩვენებელი
დაბალია; ქალასარქველის სიმაღლე დაბალი, ქალას გარშემოწე-
რილობა და საგიტალური რკალი საშუალო ზომის, განივი რკალი
მცირე, შუბლი საშუალო სიგანის, საშუალო სიგრძისა და ზომიერად
მოდრეკილი, პროფილში ოდნავ დაქანებული; თხემის სიგრძე
საშუალო, ზომიერად მოდრეკილი, კეფის სიგრძე საშუალო. და
ზომიერად მოდრეკილი, სახის სიმაღლე საშუალოზე მცირე, სიგანე
საშუალო, ხოლო შუა ნაწილში საშუალოზე მცირე, ჰორიზონ-
ტული პროფილირება მკვეთრი, ვერტიკალური სწორი. ცხვირი სა-
შუალოზე დაბალი, მკვეთრად გამოხატული, ცხვირის უნაგირი
საშუალო ან საშუალოზე მაღალი, თვალბუდეები საშუალოზე მა-
ღალი და საშუალოზე ფართო, ალვეოლური რკალი საშუალო სი-
გრძისა და საშუალოზე ვიწრო, სასა საშუალოზე გრძელი და ძა-
ლიან ვიწრო.

ამიერკავკასიის დანარჩენი ტერიტორიებიდან ზრინჯაოს ხა-
ნის პალეოანთროპოლოგიური მასალების მიმოხილვისას, ჩვენ უკ-
ვე მივეჩვიეთ ერთმანეთთან ახლოს მყოფი თითქმის ანალოგიური,
მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული ჰმელთაშუაზღვისპირული ტიპე-
ზის კონსტატაციას. ამ შემთხვევაშიაც სერიის დოლიქოკრანულო-
ბა მკვეთრად პროფილირებული, ვერტიკალური და ზომიერად მე-
ზოპროზოპული სახე, ზომიერი სიგანისა და მკვეთრად წარზიდული
ცხვირი გვაძლევს უფლებას ამავე ტიპს მივაკუთვნოთ აზერბაიჯან-
ის ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი ხანის თავის ქალები. აქვე
შეგვიძლია შევნიშნოთ ის მცირეოდენი განსხვავებები, რომლე-
ბიც მათ ახასიათებთ საქართველოსა და სომხეთის წინამორბედ-
ხანის პალეოანთროპოლოგიურ ტიპებთან შედარებით: ქალას, რო-
გორც გრძივი, ისე განივი დიამეტრები ოდნავ მცირეა, ქალა
თუმც ფორმით იმავე კატეგორიაში ხვდება, მაგრამ მაჩვენებელი
შედარებით უფრო მაღალია, დაბალია ქალასარქველის სიმაღლე,
მცირეა აგრეთვე ქალას ტოტალური რკალოვანი ზომები, შუბლი
ოდნავ უფრო ვიწროა, სახე უფრო დაბალი, უფრო დაბალია აგ-
რეთვე ცხვირის უნაგირი და უფრო მცირეა ალვეოლური რკალი-
სა და საპის ზომები. ცხადია, ბნელია სერიოზული მსჯელობა გან-
სხვავებებზე, როდესაც მკვლევარის განკარგულებაში შესადარე-

ბელი სერია წარმოდგენილია ერთეული ანაზომებით, მაგრამ ზოგადად მაინც შეიძლება შეინიშნოს, რომ აზერბაიჯანის განხილული პერიოდის თავის ქალები საერთოდ უფრო მცირე ზომისაა, ვიდრე შესაღარებელი სერიები. ამის მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ მინგეჩაურის სერიაში სქესი არ არის ზუტად განსაზღვრული და შესწავლილი. სამი მამაკაცის თავის ქალადაც შეიძლება ერთი ქალის თავის ქალა იყოს, ქალის თავის ქალები კი, მამაკაცების თავის ქალებისაგან, სწორედ მცირე ზომებით გამოირჩევიან (აბდუშელიშვილი, 1976). არ არის აგრეთვე გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ამ სერიაში ერთ-ერთი მამაკაცის თავის ქალა ბავშვს ეკუთვნოდეს და ამ შემთხვევაშიაც განსხვავება მცირე ზომების მიმართულებით წავა. მაგრამ ეს ყველაფერი ჭერჭერობით ვარაუდია და უფრო სწორ პასუხს წამოჭრილ კითხვებზე მივიღებთ მაშინ, როდესაც ეს მასალა ახალი მონაცემებით შეივსება. ჭერჭერობით კი უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ ერთი ზოგადი დასკვნით: როგორც ჩანს, ბრინჯაოს ხანის მიწურულში დასაეღეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზედაც ძირითადად გავრცელებული იყო სამხრეთ ევროპეიდული რასის ხმელთაშუაზღვისპირული ტიპი, რომელიც მოსახლეობის ძირითად მასივს წარმოადგენდა აღმოსავლეთ საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიებზე მთელი ბრინჯაოს ხანის განმავლობაში.

ჩვენი მსჯელობა აზერბაიჯანის ამ თავის ქალების შესახებ სრული არ იქნება, თუ შენიშვნის სახით მაინც არ შევეხებით ტიპოლოგიური განსხვავებების მატარებელ ნიშნებს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ განსხვავებები ამ შემთხვევაში უფრო სქესობრივი ან ასაკობრივი თავისებურებების ხასიათს ატარებენ და ძირითადად მცირე ზომებში გამოიხატებიან. მაგრამ ძნელია ამ მიზეზებით აიხსნას ნაკლებად პროფილირებული სახის შუა ნაწილი და ცხვირის შედარებით დაბალი უნაგირი; ისინი შეიძლება ტიპოლოგიური სხვაობის მაჩვენებლებიც იყვნენ და, რა თქმა უნდა, ინდივიდუალური ნაირსახეობისაც. ამ საკითხის გადაჭრა ამჟამად ჩვენს განკარგულებაში არსებულ მასალებზე სრულიად შეუძლებელია. მხოლოდ მასალების შემდგომი დაგროვება და მომავალი კვლევა-ძიება გადაწყვეტს მას; ახლა შესაძლებელია ამ საკითხის მხოლოდ დაყენება, ისიც დიდი სიფრთხილით, ვინაიდან ასეთივე განსხვავებები და უფრო მეტიც შეიძლება შეინიშნოს ნებისმიერი სერიის ნებისმიერ ორ თავის ქალაზე.

არქეოლოგიური მონაცემები მთელი ბრინჯაოს პერიოდის განმავლობაში ცხადყოფენ კულტურულ (და ალბათ არამარტო კულტურულ) სიახლოვეს ამიერკავკასიის და ჩრდილოეთ კავკასიის გარკვეულ რეგიონებს შორის. ცხადია, კულტურული ურთიერთობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ანთროპოლოგიურ, გენეტიკურ ურთიერთობას, რადგან, როგორც ეს საყოველთაოდ ცნობილია, კულტურა, ისევე, როგორც ენა, და მრავალი სხვა, შეიძლება გავრცელდეს მათი შემქმნელებისა და მატარებლების გარეშე (დებეცი, ლევინი, ტროფტმოვა, 1952), მაგრამ ანთროპოლოგიური ტიპების გავრცელებას, ანუ გენეტიკურ ერთობასა და სიახლოვეს, მუდამ თან სდევს კულტურული, ენობრივი და სხვა სიახლოვე. ამდენად, ჩვენ წინაშე დიდი მნიშვნელობის საკითხი დგას გადასაჭრელად: ედო თუ არა არქეოლოგების მიერ შენიშნულ კულტურის სიახლოვეს გენეტიკური (ანთროპოლოგიური) საფუძველედ. სამწუხაროდ, ჩრდილოეთ კავკასიიდან პალეოანთროპოლოგიური მასალები მეტის-მეტად მცირერიცხოვანი და ფრაგმენტულია. ჩვენ განკარგულებაშია სულ 20-მდე მამაკაცის თავის ქალა. აქედან 4 ყობანიდან არის, 1 კისლოვოდსკიდან, 12 გინჩიდან, 2 ჯემიკენტიდან და 2 მდინარე მანიჩის მდამოებიდან. თუ რამდენად დასაბუთებული მსჯელობა შეიძლება ამ მასალაზე ეს მისი რაოდენობიდანაც კარგად ჩანს, მაგრამ რადგან ეს მასალები არსებობენ და მოხვდნენ კიდევ პუბლიკაციებში, ჩვენ არ შეგვიძლია ანგარიში არ გავუწიოთ მათ და შეძლებისდაგვარად, ზოგადად მაინც, წარმოვიდგინოთ ის ტიპოლოგიური თავისებურებები, რაც ახასიათებდა ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობას ბრინჯაოს ხანაში.

ყობანი ში (შანტრო, 1886) მოპოვებული თავის ქალები ხასიათდებიან საშუალოზე მეტი გრძივი და ასეთივე განივი დიამეტრებით. ქალას მაჩვენებელი საშუალოა, ქალასარქველი მაღალი, სახე ძალიან ვიწრო, ცხვირი საშუალო სიმაღლისა და ვიწრო, თვალბუდე ვიწრო და საშუალოზე მაღალი.

კისლოვოდსკი ში (დებეცი, 1948) მოპოვებული თავის ქალა ხასიათდება საშუალოზე მეტი გრძივი და საშუალოზე ნაკლები განივი დიამეტრებით, ქალას მაჩვენებელი დაბალია, ქალასარქველის სიმაღლე საშუალო, სახე ძალზე ვიწრო, ცხვირი დაბალი და ვიწრო, თვალბუდე ვიწრო და მაღალი.

გინჩიში (დალესტანის ასსრ) (გაჯიევი, 1962) მოპოვებული თავის ქალები ხასიათდებიან: ძალზე დიდი გრძივი და საშუალოზე მცირე განივი დიამეტრებით, ქალას მაჩვენებელი ძალიან მცირეა, ქალასარქველი საშუალოზე მაღალი, შუბლი ფართო და ოდნავ დაქანებული, სახე საშუალოზე მაღალი და საშუალო სიგანის, კორიზონტულ პროექციაში მკვეთრად პროფილირებული, ვერტიკალურში სწორი; ცხვირი საშუალოზე მაღალი და საშუალოზე ვიწრო, ძალზე მკვეთრად წარზიდული, ცხვირის უნაგირი ძალზე მაღალი, თვალბუდეები საშუალო სიგანისა და სიმაღლის, სასა საშუალოზე მოკლე და საშუალოზე ვიწრო.

ჯემიკენტში (დალესტანის ასსრ) (ბუნაკი, 1953) მოპოვებული 2 თავის ქალა, რომლებზედაც სულ რამდენიმე ნიშანი იქნა აღებული, ხასიათდებიან: ძალზე დიდი გრძივი და ზომიერი განივი დიამეტრებით, თავის მაჩვენებელი დაბალია, ქალასარქველი დაბალი, სახე საშუალო სიმაღლისა და სიგანის, ცხვირი მკვეთრად ლეპტორინული.

მანიჩთან (გინზბურგი, 1949) მოპოვებული თავის ქალები ხასიათდებიან: ქალას დიდი გრძივი და მცირე განივი დიამეტრებით, ქალას მაჩვენებელი ძალზე დაბალია, სახე საშუალოზე დაბალი და ვიწრო, ცხვირი საშუალო სიგანისა და სიმაღლის, თვალბუდე საშუალო სიგანისა და საშუალოზე დაბალი.

ასეთია ის ფრაგმენტული მონაცემები, რომლებიც მოგვეპოვება ჩრდილოეთ კავკასიის ბრინჯაოს პერიოდის მოსახლეობის ანთროპოლოგიური თავისებურებების შესახებ. ყველაზე უფრო რეპრეზენტატული ზემოხსენებულ სერიებში, ცხადია, გინჩის სერიაა, მაგრამ არც სხვა უფრო მცირერიცხოვან და მცირენიშნოვან სერიებში შეგვხვედრია ისეთი პარამეტრები, რომლებიც ტიპოლოგიურად განსხვავდებოდნენ გინჩის სერიისაგან, ამიტომ ჩვენ ამ შემთხვევაშიაც, გავერთიანეთ ჩრდილო კავკასიაში მოპოვებული ბრინჯაოს ხანის თავის ქალები, რამაც რიცხობრივად უფრო სარწმუნო, ხოლო შინაარსობრივად უფრო ზოგადი აქცია მიღებული საშუალო მონაცემები.

ჩრდილო კავკასიის ბრინჯაოს ხანის ეს გაერთიანებული სერია ხასიათდება: ძალზე დიდი გრძივი და საშუალო განივი დიამეტრებით, ქალას მაჩვენებელი ძალიან დაბალია, ქალასარქველი მაღალი, შუბლი ოდნავ დაქანებული, სახე საშუალო სიმაღლის და ყვრიმალთაშუა დიამეტრის მიხედვით საშუალოზე ვიწრო, სახის ზემო ნაწილის სიგანის მიხედვით საშუალოზე ფართო, ხოლო სა-

ზის შუა ნაწილის სიგანის მიხედვით საშუალო ზომის; პორიზონტულ პროექციაში სახე ძალზე მკვეთრად არის პროფილირებული, ვერტიკალურ პროექციაში სწორი; ცხვირი საშუალო სიმაღლის, ძალიან ვიწრო და მკვეთრად წინ წარზიდული, ცხვირის უნაგირი ძალიან მაღალი, თვალბუდეები საშუალო სიმაღლისა და სიგანის, სასა საშუალოზე მოკლე და საშუალოზე ვიწრო.

როგორც ამ დახასიათებიდან ჩანს, საკვლევი თავის ქალები, ყველა ნიშნის მიხედვით, ამჟღავნებენ ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილ ხმელთაშუაზღვისპირული რასის ყველა თავისებურებას. მართალია, პალეოანთროპოლოგიური მასალები ჩრდილოეთ კავკასიიდან ძალზე მცირეა და ახალმა მასალებმა სხვა რეგიონებიდან შეიძლება მოგვცენ განსხვავებულ ტიპზე მსჯელობის საფუძველი, მაგრამ ამჟამად ჩვენ განკარგულებაში არსებული მონაცემები სრულ საფუძველს გვაძლევენ ვამტყიცოთ, რომ ბრინჯაოს ხანის მოსახლეობა ჩრდილო კავკასიაში ეკუთვნოდა იმავე სამარეთევროპეიდული რასის ხმელთაშუა ზღვისპირულ ტიპს, რომელსაც, სადღეისოდ არსებული ყველა მასალის მიხედვით ეკუთვნოდა ამიერკავკასიის ბრინჯაოს ხანის ძირითადი მოსახლეობა.

ამრიგად, კავკასიის ბრინჯაოს ხანის მოსახლეობის პალეოანთროპოლოგიური მასალების მიმოხილვას სრულიად გარკვევით მივყავართ იმ მოსაზრებამდე, რომ მთელი კავკასიის ბრინჯაოს ხანის მოსახლეობა ეკუთვნოდა ერთ ანთროპოლოგიურ ტიპს, რომელიც ზოგად რასობრივ სისტემატიკაში სამხრეთ ევროპეიდული რასის ხმელთაშუაზღვისპირული ტიპის სახელით არის ცნობილი. ცხადია, კავკასიის სხვადასხვა რეგიონებში დროის გარკვეულ მონაკვეთში ანთროპოლოგიური ტიპის ერთიანობა შემთხვევითი არ შეიძლება იყოს. მისი ახსნა უმართებულო იქნება აგრეთვე ანთროპოლოგიური კონვერგენციით, ვინაიდან, უპირველეს ყოვლისა, ამ რეგიონების სივრცობრივი ლოკალიზაცია ძალზე შეზღუდულია, ხოლო, მეორე მხრივ, ანთროპოლოგიურ ტიპში გამოვლენილი სიახლოვე უფრო ადრე შენიშნულია კულტურასა და ენაში, რაც თავისთავად შემთხვევითობის წინააღმდეგ მეტყველებს. ამრიგად, ჩვენ მიერ შენიშნული ანთროპოლოგიური მსგავსება გენეტიკური ნათესაობის მაჩვენებელი უნდა იყოს; მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ გენეტიკური ერთიანობა აკავშირებს კავკასიის მთელ დღევანდელ აბორიგენულ მოსახლეობას. ჩვენ ამ შემთხვევაში მსჯელობა გვაქვს მხოლოდ სადღეისოდ ჩვენ განკარგულებაში არსებულ პალეოანთროპოლოგიურ მასალებზე, ხოლო ისინი

მოიცავენ ბევრად უფრო მოკრძალებულ არეალს, ვიდრე მთელი კავკასიაა; ცხადია, ჩვენ შეგვიძლია ამ მასალების ექსტრაპოლაცია მთელი დღევანდელი კავკასიის ტერიტორიაზე, მაგრამ ეს მაინც ექსტრაპოლაცია იქნება და არა დოკუმენტური მასალებით დადასტურებული ფაქტი. ახალმა მასალებმა და მომავალმა კვლევა-ძიებამ კიდევ ბევრი შუქი უნდა შეიტანონ საკვლევი საკითხების შესწავლაში. ჩვენ მიერ ჩატარებული მუშაობა კი კავკასიის ბრინჯაოს ხანის მოსახლეობის მთლიანი შესწავლის პირველი ცდაა და ამიტომ სადღეისოდ მიღებულ შედეგებს მხოლოდ სამუშაო პიპოთეზების მნიშვნელობა აქვთ, რომლებიც მხოლოდ საფუძვლად შეიძლება დაედონ მომავალ კვლევა-ძიებას ამ მიმართულებით.

კავკასიის ბრინჯაოს ხანის ანთროპოლოგიური ტიპების აღვილი სინჰრონულ ანთროპოლოგიურ ტიპებს შორის

კავკასიის ბრინჯაოს ხანის მოსახლეობის ანთროპოლოგიური თავისებურებების შესწავლამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ დომინანტური მთელი ბრინჯაოს პერიოდის განმავლობაში აქ იყო მოსახლეობის ხმელთაშუაზღვისპირული ტიპი და რომ ამ ტიპისათვის დამახასიათებელი გარკვეული კავკასიური თავისებურებებიც კი იყო უკვე ჩამოყალიბებული. რა თქმა უნდა, სურათი ჭერ მთლიანად ნათელი არ არის, რადგანაც ბევრია შეუსწავლელი ქრონოლოგიური პერიოდი და რეგიონი, რომლებშიაც სრულებითაც არ არის გამორიცხული თავი იჩინოს დომინანტურისაგან განსხვავებულმა ანთროპოლოგიურმა ტიპებმა. მაგრამ ეს მხოლოდ სავარაუდო მოსაზრებაა და ისიც ნაკლებად სარწმუნო, ვინაიდან საკუთრივ ჩვენ განქარგულებაში ამჟამად 371 თავის ქალაა და გარდა ამისა, სხვა ავტორთა მონაცემებიც გაგვაჩნია, რომელთა რიცხვი 5 ასეულამდე ავსებს საერთო რაოდენობას და მთელ ამ მასალაზე თითქმის არსად შეგვხვდრია რაიმე განსხვავებული მორფოლოგიური ნიშნების მქონე სერია; ხაზს ვუსვამთ სერიას, ვინაიდან რიცხვმცირე და მით უმეტეს ერთეულ თავის ქალებზე შემჩნეული განსხვავებული ნიშნები (ზოგიერთ შემთხვევაში რამდენიმე ნიშნის ერთობლიობაც კი) ინდივიდუალური ვარიაციების მაჩვენებელი შეიძლება იყოს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ დასკვნას დომინანტური ტიპის შესახებ მასალების მომავალი დაგროვება ალბათ ვერ შეცვლის.

ცხადია, კავკასიის ანთროპოლოგიური ტიპები ჩამოყალიბდებოდნენ იზოლირებულად გარემომცველ ანთროპოლოგიურ ტიპებთან ურთიერთობის გარეშე, ამიტომ საინტერესოა და უნდა გაირკვეს კიდევ, თუ სახელდობრ, რომელ ანთროპოლოგიურ ტიპებთან ამჟღავნებს ჩვენ მიერ დადგენილი კავკასიის ბრინჯაოს ხანის დომინანტური ანთროპოლოგიური ტიპი უახლოეს მორფოლოგიურ მსგავსებას სივრცესა და დროში. ანალოგიური ტიპების ძიებას

ჩვენ ძირითადად ვაწარმოებდით წინა და შუა აზიის, აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ბრინჯაოს ხანის მოსახლეობაში. უფრო შორეული პარალელების ძიება, ჩვენი აზრით, გადის ეთნოგენეზური საკითხების კვლევის საზღვრებიდან და შეიძლება საფუძვლად დაედოს რასოგენეზურ კვლევას, რაც ამჟამად არ წარმოადგენს ჩვენი კვლევის საგანს.

ქვემოთ შევეცდებით თვალი გადავაავლოთ იმ პალეოანთროპოლოგიურ მასალებს, რომლებიც ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნებიან და წარმოადგენს გვიქმნიან კავკასიის — სამხრეთ, აღმოსავლეთ, ჩრდილოეთ და დასავლეთით მდებარე რეგიონების მოსახლეობაზე საკვლევ პერიოდში.

აღრეული ბრინჯაოს ხანით არის დათარიღებული წინა აზიის ტერიტორიაზე მოპოვებული ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე კრანიოლოგიური სერია; ჩვენ, როგორც ყოველთვის, აქაც მათს განმასხვავებელ თავისებურებებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ჰისარში (კროგმანი, 1940) მოპოვებული კრანიოლოგიური სერია თავის ქალას მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამავე ტერიტორიაზე მოპოვებულ ორ სხვა სერიას ძალზე დაბალი აქვს ქალას მაჩვენებელი. ამიტომ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჰისარის ბრაქიკრანული სერია ხელოვნურად არის გამოყოფილი დანარჩენი დოლიქოკრანული თავის ქალებისაგან. სხვა მხრივ, აქ მოპოვებული თავის ქალები საკმაოდ ახლოს დგანან კავკასიის ტერიტორიაზე დამოწმებულ ანთროპოლოგიურ ტიპებთან. გეოი-თეფეში (კეიტტი, 1948) მოპოვებული თავის ქალები შედარებით ფართო სახით გამოირჩევიან. ჩვენ შეერ აღწერილ ანთროპოლოგიურ ტიპებთან მორფოლოგიურად უფრო ახლოს დგას ინდოეთის ტერიტორიაზე მოპენჯოდაროს (გუპა, 1932) რეგიონში მოპოვებული სერია, რომლის თავისებურებად შეიძლება მივიჩნიოთ თვალბუდის, როგორც სიმალლის, ისე სიგანის მცირე ზომები.

ხმელთაშუაზღვისპირეთის სერიებიდან ყურადღებას იქცევს თავის ქალები სიცილიიდან (ჯუფრიდა რუჯიერი, 1944), რომლებსაც ვიწრო და დაბალი სახე და აგრეთვე, ვიწრო და დაბალი თვალბუდეები ახასიათებს. ამავე პერიოდის არის კრანიოლოგიური სერია ხმელთაშუაზღვისპირეთიდან, რომელიც ელადური სერიის სახელითაა ცნობილი (მორანტი, 1926). აგრეთვე ძალზე ვიწრო და დაბალი თვალბუდეებით გამოირჩევა. ხმელთაშუაზღვისპირულ სამყაროს ეკუთვნის კიდევ ორი სერია ქვემო

ნუბიიდან (ბატვარი, 1945), რომლებსაც საშუალო ზომის ქალას გრძივი დიამეტრი და ვიწრო შუბლი ახასიათებს.

აღმოსავლეთ ევროპის მოსახლეობაზე წარმოდგენას გვიქმნიან კრანიოლოგიური სერიები ვოლგისპირეთიდან. ესენია ბალანოვოსა და ფატიანოვოს სამაროვნებში მოპოვებული თავის ქალები (აკიმოვა, 1947). მათ კავკასიური სერიებიდან განასხვავებს ფართო და დაბალი სახე, რის გამო სახის მაჩვენებელი ძალიან დაბალია და აგრეთვე, ფართო და მოკლე ცხვირი. განსაკუთრებით, ეს განმასხვავებელი ნიშნები ფატიანოვოს სერიისათვის არის დამახასიათებელი.

ბრინჯაოს ხანის პალეოანთროპოლოგიური სერიები დასავლეთ ევროპიდან გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებიან. ჩვენ მხედველობაში გვაქვს სერიები საფრანგეთიდან — ლოზერი-ნა და ლანგედოკის რეგიონები და გერმანიიდან — რეინი-რეგიონი (რიკვიტი, 1970). ყველა, აქ მოპოვებულ სერიებს საშუალო და საშუალოზე ოდნავ მაღალი თავის მაჩვენებელი, საშუალო და საშუალოზე ოდნავ ფართო სახე და საშუალოზე დაბალი თვალბუდეები ახასიათებს. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით გერმანიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სერიები გამოირჩევიან.

ამრიგად, აღრებრინჯაოს ხანაში კავკასიის ანთროპოლოგიური ტიპების მსგავსი ფორმები შეინიშნება ძირითადად წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის კრანიოლოგიურ სერიებში და მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტურად ანალოგიურ ფორმებს, ჯერჯერობით ვერსად ვხვდებით, მაინც შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ე. წ. ხმელთაშუა ზღვისპირული ტიპი მოიცავდა საკმაოდ დიდ ტერიტორიას ხმელთაშუა ზღვისპირეთის, კავკასიის, წინა აზიის და ჩრდილოეთ ინდოეთის ჩათვლით. ეს საკმაოდ დიდი ტერიტორიაა და ვინც ამ რეგიონების თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიურ ტიპებს იცნობს, შეუძლებელია არ გაახსენდეს ინდოხმელთაშუა ზღვისპირული რასის არეალი (აბდუშელიშვილი, 1973), მაგრამ ეს ძალიან შორს მიშავალ განზოგადებებს ავლენს და აშკარად სცილდება ჩვენი დღევანდელი გამოკვლევის ფარგლებს.

ბრინჯაოს ხანის მომდევნო პერიოდი ჩვენ მასალებში, როგორც ვნახეთ, სუსტად არის წარმოდგენილი, ამიტომ ძნელდება საქართველოსა და საერთოდ კავკასიის ტერიტორიაზე მოსახლეობის მკვეთრად გამოხატული მორფოლოგიური კომპლექსის დაზუსტება. ჩვენ ხელთარსებული მასალები და ქრონოლოგიურ-რეგიონალური ექსტრაპოლაციები მაინც გვაძლევენ საშუალებას ზოგა-

დად წარმოვიდგინოთ ეს ტიპი და დაუშპირისპიროთ ის სინქრონულ სერიებს სივრცეში. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შესადაარებელი სერიები გაცილებით უფრო მცირე პროგრამით არიან შესწავლილნი და ის ნიშნები, რომლებიც ჩვენი საკუთარი მასალებისათვის გვაქვს, უმრავლეს შემთხვევაში პუბლიკაციებში არ გვხვდება; ამიტომაც არის, რომ ჩვენი სერიებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი თავისებურებები შედარებით ანთროპოლოგიური დაპირისპირებისას შეუფასებელი რჩება. ეს ქვემოთ მოტანილი შედარებით—ანთროპოლოგიური მიმოხილვის დიდად დასანანი ხარვეზია და, რომ ამ ხარვეზის არსებობაში ჩვენ ბრალი არ მიგვიძღვის, ეს ოდნავაც არ ავსებს არსებულ ხარვეზს. ქვემოთ მოტანილი ჩვენი მსჯელობა, სამწუხაროდ, მხოლოდ იმ ნიშნებს შეეხება, რომლებიც უფრო ხშირად გვხვდება პუბლიკაციებში. სწორედ ამ ნიშნების მიხედვით ერთხელ კიდევ გავიხსენოთ საქართველოს მოსახლეობისათვის მთელი ბრინჯაოს ხანის განმავლობაში დამახასიათებელი ზოგადი თავისებურებები; ასეთებია: ქალას დიდი გრძივი და საშუალო ან საშუალოზე ვიწრო განივი დიამეტრები, მკვეთრად დოლიქოკრანული ქალასარქველი, რომელსაც საშუალოზე მაღალი თალი აქვს. საშუალოზე ფართო შუბლი, საშუალოზე ვიწრო და საშუალოზე მაღალი სახე, საშუალოზე ფართო და საშუალოზე დაბალი თვალბუდეები. საშუალოზე ოდნავ ვიწრო და საშუალო სიმაღლის ცხვირი. სამწუხაროდ, სულ ეს არის ის თავისებურებები, რომლებიც გვხვდება შესადაარებელ მონაცემებში. ამ ნიშნებს აკლია ისეთი მაღალი ტაქსონომიური ღირებულების მქონე პარამეტრები, როგორცაა სახის ჰორიზონტული პროფილირება, ცხვირის კუთხე პროფილის ხაზთან, ცხვირის უნაგირის სიმაღლე და სხვ. ამიტომ, მორფოლოგიური მსგავსებისა და განსხვავების კონსტატაციისას სრულიად ადვილი შესაძლებელია, უფრო მეტიც, თითქმის გვერდაუვლელია უზუსტობანი. ყოველივე ეს გვაიბულებს დიდი სიფრთხილით მოვეკიდოთ ანთროპოლოგიური ანალოგიების დადგენას, მაგრამ, ცხადია, არ გვანთავისუფლებს ასეთების ცდისაგან.

შუაბრინჯაოს ხანისათვის წინა აზიის ტერიტორიაზე, ძირითადად, დოლიქოკრანულ, მაღალი სარქველის, ზომიერი სიგანისა და სიმაღლის სახის და ვიწრო და მაღალი ცხვირის კრანიოლოგიურ ტიპებს ვხვდებით. ასეთებია ურის, კიშის, ელ-უბეიდის; ტაბლედპილის (სინდლერი, 1956) და სხვა სერიები. ასეთივე თავისებურებებით ხასიათდებიან ხმელთაშუა ზღვისპირული სერიები: ელადის (ენეელი, 1943), არგოსის (ბოევი, 1972), ნუბიისა (ბატვარი,

1945) და ქვემო ეგვიპტის (ვუ, 1928) რეგიონებიდან. მაგრამ ამ სერიებსაც ზოგიერთი ისეთი თავისებურება ახასიათებს, რომ ძნელდება ანალოგიაზე მსჯელობა. მაგალითად: ნუბიის, კიშის, არგოსის და სხვ. სერიებს ვიწრო შუბლი აქვთ. ელ-უბეიდის, ტაბლედ-ჰილის, ქვემო ნუბიისა, ელადისა და განსაკუთრებით, არგოსის სერიებს საშუალო და საშუალოზე დაბალი სახე. ხოლო ურის, კიშის, ელ-უბეიდის, ტაბლედ-ჰილის და სხვ. სერიებს მაღალი ცხვირი.

აღმოსავლეთ ევროპაში, ისევე როგორც დასავლეთ ევროპაში, ამ დროისათვის, თავის ქალას შედარებით უფრო მაღალი სიდიდეებია დამახასიათებელი. ასეთებია მაგალითად: ჩრდილოშავიზღვისპირული სერიები — პარკანიდან და სერბიკიდან (დებეცი, 1948), მინუანისკიდან (დებეცი, 1948), რუმინეთიდან (ნეკრასოვა, 1964), საფრანგეთიდან (რიკეტი, 1970) და სხვ. მაგრამ აქაც არაიშვიათად ვხვდებით დოლიქოკრანულ ფორმებს. აზოვის ოლქში (ტოტი, 1968) ჩრდილოეთშავიზღვისპირეთის პუნქტი სუკლენი, შუა-დნეპრისპირეთი (დებეცი, 1948), ზემო ვოლგისპირეთი (დებეცი, 1948), ჩეხოსლოვაკია (კუნი, 1939), რუმინეთი (ნეკრასოვა, 1964), ლატვია (დენისოვა, 1973) და სხვ. მაგრამ ევროპის ტერიტორიაზე ამ პერიოდში თითქმის არსად ვხვდებით სახის სიგანის ისეთ ვიწრო ფორმებს, როგორც დამახასიათებელია კავკასიის, წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის სერიებში.

ამრიგად, შუაბრინჯაოს ხანაშიაც, ჩვენ სერიებთან მიახლოებულ ფორმებს, პირველ რიგში, წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის კრანიოლოგიურ სერიებს შორის ვხვდებით.

გვიანი ბრინჯაო შედარებით სუსტად არის წარმოდგენილი შესადარებელ მასალებში. აქაც ძნელი არ არის იმის შენიშვნა, რომ დოლიქოკრანული და ვიწროსახიანი ფორმები გვხვდება წინა აზიის: სიალკის ერთ-ერთი სერია (ვალუა, 1940), შუა აზიის — ძველი ხორეზმი (ტრაფიმოვა, 1957), მიკენურ საბერძნეთის (ენჯელი, 1943) კრიტოსის (ენჯელი, 1943) და სხვ. სერიებში. მაგრამ უკვე ამ დროისათვის რიგ ხმელთაშუაზღვისპირულ სერიებში საკმაოდ მაღალია თავის მაჩვენებელი. ასეთებია, მაგალითად: კიპროსის სერია (ბოვეი, 1972), სერია საბერძნეთიდან (ენჯელი, 1943) და სხვ. კიდევ უფრო მაღალია ქალას მაჩვენებელი დასავლურ-ევროპულ სერიებშიც. ასეთებია სერიები უნგრეთიდან (ტოტი, 1974), ინგლისიდან (მორანტი, 1928), შოტლანდიიდან (მორანტი, 1926) და სხვ.

ჩვენ სპეციალურად მოვერიდეთ ჩვენ ხელთარსებული შესა-
დარებელი მონაცემების უფრო სკრუპულოზურ ანალიზს. ასეთი
ანალიზი თუმცა აუცილებელია, მაგრამ ჭერჭერობით ნაადრევი
ჩანს, იმიტომ, რომ ავტორებს, რომლებსაც ეს სერიები შეუსწავ-
ლიათ, არ გაუზომიათ ან პუბლიკაციებში არ შეუტანიათ გადამ-
წყვეტი მნიშვნელობის მქონე კრანომეტრული ზომები. ამიტომ
მხოლოდ იმ ნიშნების ფონდი, რომელიც ჩვენ განკარგულებაშია
ამჟამად, მხოლოდ ზოგადი დასკვნების გამოტანის უფლებას იძლე-
ვა. ზოგადი დასკვნა კი, ჩვენი აზრით, ასეთია:

მთელი ბრინჯაოს ხანის განმავლობაში საქართველოს, ამიერ-
კავკასიისა და მთლიანად კავკასიის ტერიტორიაზე გავრცელებული
იყო ერთი ანთროპოლოგიური ტიპი. მისი ძირითადი დამახასია-
თებელი ნიშნებია: მკვეთრად გამოხატული დოლიქოკრანული
ფორმის, მაღალი ქალასარქველი; საშუალოზე ვიწრო და საშუა-
ლოზე მაღალი სახე, მკვეთრად პროფილირებული ჰორიზონტულ
სიბრტყეში და ძალიან სწორი—ვერტიკალურში. ცხვირის მაღალი
უნაგირი, თვითონ ცხვირი საშუალოზე ოდნავ ვიწრო და საშუალო
სიმაღლის და მკვეთრად წინ წარზიდული. ზუსტად ასეთი ფორ-
მები გვხვდება, როგორც საქართველოს, ისე ამიერკავკასიისა და
ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიებზე ვიწროსახიანი დოლიქოკე-
ფალები ამ დროისათვის საერთოდ, არც თუ ისე იშვიათი მოვლე-
ნაა ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის ტერიტორიებზე. მაგრამ
კავკასიური ფორმების შესატყვისი კომპლექსები უფრო ხშირად
გვხვდება ხმელთაშუა ზღვისპირეთის, წინა და შუა აზიისა და
ჩრდილოეთ ინდოეთის რეგიონებში. ცხადია, აქ წარმოდგენილი
სერიები ყველა ერთგვაროვანი არ არის, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ,
რომ დომინანტური ამ შემთხვევაში მაინც ვიწროსახიანი დოლიქო-
კეფალები არიან, რომლებსაც ეპოქალური ტრანსფორმაციის ანა-
ლოგიური მიმართულება უნდა ჰქონოდათ, ყოველ შემთხვევაში,
ენეოლითიდან რკინის წარმოების ფართო ათვისების ხანამდე მა-
ინც. ამ ზოგად რასობრივ ტიპს ხმელთაშუა ზღვისპირულს უწოდებ-
ენ ამჟამად. თანამედროვე მოსახლეობის რასობრივ კლასიფიკა-
ციაში ის უნდა შეესაბამებოდეს სამხრეთ ევროპეიდულ ანუ ინ-
დოხმელთაშუა ზღვისპირულს; ამდენად, ბრინჯაოს ხანის კავკასიის
მოსახლეობა, როგორც ჩანს, შედიოდა ევროპეიდული რასის, უფ-
რო ზუსტად სამხრეთ ევროპეიდული რასის ფორმირების არეალში
და რეგიონალურად ამ არეალის ცენტრალური ნაწილი ეკავა.

მიუხედავად ამ დებულების მეტისმეტად ზოგადი ხასიათისა,
ის მაინც სახავს კონკრეტული ეთნოგენეზური გამოკვლევების

სრულიად რეალურ პერსპექტივებს; ყოველ შემთხვევაში, წარმოდგენას გვიქმნის, საით მივმართოთ რასო თუ ეთნოგენეზური პარალელების ძიება და ეს კი ძველი თუ თანამედროვე ხალხების ანთროპოლოგიური ისტორიის შესწავლისას საკმაოდ საიშედო წინაპირობას ქმნის.

ლიბრატურა — ЛИТЕРАТУРА

ა ბ ლ უ შ ე ლ ი შ ვ ი ლ ი მ. — დიღმის სამაროვანზე მოპოვებული პალეოანთროპოლოგიური მასალების შესახებ. წ. საქ. სსრ. მეცნ. აკადემია, „მაცნე“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია № 3, 1974.

ა ბ ლ უ შ ე ლ ი შ ვ ი ლ ი მ. — კრანიოლოგია. „ვანათლება“, თბილისი, 1976.
შ ა კ ა ლ ა თ ი ა ს. — ტყეიავის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები. გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, 1, თბილისი, 1943.

ს ა ქ ა რ თ ე ე ლ ო ს ა რ ქ ე ო ლ ო გ ი ა — თბილისი, 1959.

ჩ უ ბ ნ ი შ ვ ი ლ ი ტ. ნ. — „ამირანის გორა“. მასალები მესხეთ-ჭავჭავთის უძველესი ისტორიისათვის. თბილისი, 1963.

А б д у ш е л и ш в и л и М. Г. — К палеонтопологии Самтаврского могильника. Тбилиси, 1954.

А б д у ш е л и ш в и л и М. Г. — Палеонтологический материал из поздних погребений Самтаврского могильника. Тр. Ин-та экспериментальной морфологии им. А. Н. Натаншвили АН СССР, т. VIII, Тбилиси, 1960.

А б д у ш е л и ш в и л и М. Г. — Об эпохальной изменчивости антропологических признаков. Академия наук СССР, «Институт этнографии» им. Н. Н. Миклухо-Маклая, Краткие сообщения, XXXIII, Москва, 1960.

